



საქართველოს
ანტიკვარია

საბჭოთა ხელოვნება

СОБЕТСКОЕ
УСКУССТВО

SOVIET
ARTS

SOVIETKUNST

ART
SOVIETIQUE

12

1969

სამკრთა სელოვნება




თეატრი
მუსიკა
მხატვრობა
კინო
ზრდილებათუკუ
ქორეოგრაფია

12

საბარძელოს სსრ კულტურის სამინისტროს ორგანო

1969






ე. კიბრიკი

ვ. ი. ლენინი

მთავარი რედაქტორი — ოთარ მგაღვი

ს ა რ მ დ ა ქ ც ი ო კ ო ლ მ ბ ი ა: შალვა ამირანაშვილი,
გელა ბანძელაძე, კარლო გოგობე, ალექსი შაჭავარიანი,
ნათელა ურუშაძე, გრიგოლ ფოფხაძე, დიმიტრი ჯანელიძე,
ვანო წულუკიძე.



ვ. თოფურაძე

ვ. ი. ლენინი



ლენინი და ესოვლუბერკეების საკითხი ხელოვნებაში

ჯემალ შარაშიძე

3. ი. ლენინის ესთეტიკური მოძღვრება ძვირფას მასალას იძლევა ესთეტიკურის სინთეზური გაზარებისათვის. მსოფლმეგრძნების და მსოფლმხედველობის ურთიერთმიმართება ლენინური ესთეტიკის ერთ-ერთი ცენტრალური საკითხია. იგი ამოსავალია ხელოვნების პარტიულობის სწორი გაგებისათვის, გრძნობადი და ინტელექტუალური საწყისების მიმართების კანონზომიერების დადგენისათვის ხელოვნებაში, ნაწარმოების მხატვრულ-იდეური მთლიანობის მეცნიერული გაგებისათვის.

საყოველთაოდაა ცნობილი ლენინის წერილების სერია, რომელიც მიეძღვნა ლ. ტოლსტოის შემოქმედებას. მათში ავტორი ავლენს საერთოდ ხელოვნების ბუნების შეუდარებელ ცოდნას.

ტოლსტოის შემოქმედებას ლენინი განიხილავს, როგორც ორი საწინააღმდეგო საწყისის — რეაქციულისა და რევოლუციონურის პარმონიულ შეხამებას. ეს წინააღმდეგობა იმდენად სისხსხორცვეულია ტოლსტოისათვის, რომ რომელიმე მათგანის მოხსნის შემთხვევაში ტოლსტოი სულ სხვა შემოქმედად ჩამოყალიბდებოდა, ან საერთოდ ვერ ჩამოყალიბდებოდა შემოქმედად.

„ტოლსტოის მოძღვრება, — ამბობს ლენინი — რეაქციულია ამ სიტყვის უაღრესად ზუსტი და უაღრესად ღრმა მნიშვნელობით. მაგრამ აქედან სრულებითაც არ გამომდინარეობს არც ის, რომ ეს მოძღვრება არ იყოს სოციალისტური, და არც ის, რომ მასში არ იყოს კრიტიკული ელემენტები, რომელთაც შეუძლიათ მოგვეცნა საულისწირო მასალა მოწინავე კლასების გასათვითცნობიერებლად“¹.

დიდი შემოქმედის პროუჩი მრავალწინააღმდეგობა, ტოლსტოის შემოქმედება ურთიერთსაწინააღმდეგო გაგების საფუძველს იძლევა. მთავარი აქ წამკითხველის ხედვის წერტილია.

ტოლსტოი მე-19 ს. გლეხობის იდეოლოგი იყო, რაც შესაბამისად გამჟღავნდა როგორც მის მხატვრულ შემოქმედებაში, ისევე ფილოსოფიურ მოძღვრებაში.

ლენინური შეფასებით, ტოლსტოის სოციალური მნიშვნელობა შეიძლება ასე განსაზღვროთ: მწერალი ავებლითი სურათების ხატვით აღძრავს არსებულ საზოგადოების განადგურების მზადყოფნას, მაგრამ იქვე აცხრობს მას სოციალურ გარდაქმნათა უტოპური თეორიით.

პიროვნების ჩამოყალიბებაში ემოციური და ინტელექტუალური საწყისები არათანაბრად მონაწილეობენ. ინტელექტუალურად ინდივიდი უფრო მეტად გვეუბნის საკუთარ კლასს, მის იდეოლოგიას, უფრო მეტად იმსჯელებს გაბატონებული კლასობრივი იდეებით, ვიდრე ემოციური სამყაროთი. ტოლსტოიმ, როგორც მხატვარმა, მოვლენათა უშუალოდ აღმქმელმა ადამიანმა გაწყვიტა კავშირი თავის კლასთან და დაღვა გლეხთა ბოზიციასზე, მაგრამ მსოფლმხედველობით, ის ძირითადად დარჩა ლიბერალ მემამულეთა თვალსაზრისზე. შეიძლება დაისვას კითხვა, თუ რა თვისობრივი სხვაობაა მსოფლმეგრძნებასა და მსოფლმხედველობას შორის.

მსოფლმეგრძნება აღმქმელი სუბიექტის უშუალო კავშირის ფორმა გარესამყაროსთან. ბუნებისა და ადამიანებისადმი ჩვენი მიმართება თვალსაზრისოდ განსხვავებულ ემოციებს და ასოციაციებს აღძრავს განსხვავებულ ფსიქიკური წყობის ადამიანებში. მსოფლმეგრძნება-

¹ ი. ვ. ლენინი, კულტურისა და ხელოვნების შესახებ, გვ. 124.



ორგანულად ერწყმის ცნობიერს, პიროვნების შეგნებულ, გაცნობიერებულ, გააზრებულ დამოიდებულებას მოვლენებისადმი.

მარამ როგორი უნდა იყოს შემოქმედის გააზრებულობა? იდეალისტურია, თუ მატერიალისტური ხელფიანის იდეოლოგიური ამოსავალი?

ხელოვნების სპეციფიკა ვერ ეკუთვნის საკითხის ასეთ დიდიმუხრ დაყენებას. ხელოვნება მეტად ფართო სფეროს მომცემია, რომ შეიძლება მისი შესწავლა რომელიმე ფილოსოფიური თვალსაზრისით.

ლენინი გორკის წერდა: „მე ვფიქრობ, რომ მხატვარს თავის სასარგებლოდ ბევრი რამის ნახვა შეუძლია ყოველ ფილოსოფიაში. ბოლოს, მე საკებით და უგველეხად ვიზიარებ იმ აზრს, რომ მხატვრული შემოქმედების საკითხებში თქვენ ძალიან კარგად ერკვეებით და რომ, მიიღებთ რა ამგვარ შემხედულებებს თქვენი მხატვრული გამოცდილებიდანაც და თუნდაც იდეალისტური ფილოსოფიიდანაც, თქვენ უმეტესად მათი სისულელოდ დასკვნამდე მივყავართ, რომ მათ უფრო მეტი უნდა ჰქონდეთ, ვიდრე უფრო მეტი უნდა ჰქონდეთ მათ. (ხაზი ლენინისა)“.

ლენინის ეს წერილი დათარიღებულია 1908 წ. იგი დაწერა იმ დროს, როცა დიდი ბელადი იბრძოდა მასისა და ემპირიკული იდეოლოგიის წინააღმდეგ, დაუნდობლად აკრიტიკებდა ყოველ თეორიულად გადახრასთვის პარტიულ თანამებრძოლებს, მათ შორის თვით გორკისაც. ასეთ ისტორიულ სიტუაციაში ლენინმა შესაძლოდ ჩათვალია იდეალისტური ფილოსოფიის დაკავშირება პროლეტარულ შერობასთან.

ხელოვნება ხსნის პიროვნების შემზღვეველ გარემოებას, დროსა და სივრცის განსაზღვრულობას (თუმცა შესწავლულობის ეს მიხსნა დიდი ხნითაა რთული; ხელოვნება და აღმშენებელი იცის, რომ შეზღუდულობათა მიხსნა მხოლოდ ხელოვნების ფარგლებში რჩება). პიროვნება ესთეტიკურ-ემოციურ ღირებულებათა ხილვას ახდენს არტიკულურ სიტუაციაში, არტიკულურ საშუალებათა მოშვებით. პიროვნების განწყობაში, რომელიც შექმნილია წარმოდგენათა, იდეალების, მათ შორის სოციალური იდეალების, სურვილების, ოცნების, სწრაფვითა და ა. შ. საფუძველზე, აქტიურობისგან, სუბიექტივობიდან შესატყვის ფორმით, რომელიც ყოველთვის არ არის სინამდვილის შესატყვისი არც ფორმით და არც შინაარსით. და მაინც ნამდვილობიდან ასეთი განსაკუთრებული სინამდვილიდან კი არ წყვეტს ადამიანს, პირიქით ამკვიდრებს მასში. ხელოვანი ინარჩუნებს სოციალურობის გრძობას და თითქმის რადიკალურად შეესაბამება სოციალურობის გამოხატვას კლასობრივ მოტივებს.

გაგისწნეთ გორკის იტალიური ზღაპრები — „დანიკო“, „ქარიშხალი“ და სხვ. სიკვილ-სიციხის პრობლემა, დიდობის გრძობა, თავისუფლებისათვის თავდადება, ბუნების მოვლენათა გასულიერება, მათი ამბვედ რევოლუციური შემართებით უფრო იდეალისტური ბუნებისა, ვიდრე მატერიალისტური, მარამ გორკის ეს მოთხრობები სასარგებლო აღმოჩნდა მუშათა კლასისათვის, პარტიისათვის.

არ შეიძლება უშენიშნოდ დავტოვოთ ჩვენი მსჯელობის უხერხულთა. მხატვრული ნაწარმოების სპეციფიკა უკვე გვიცხვამს უამრავ პირობითობას, იქნება და განისაზღვრება პირობითობით. თუ მას (პირობითობას) გავანალიზებთ სოციოლოგიის, ბიოლოგიის, ქვეყანათმცნებრივების, ფსიქოლოგიის თვალსაზრისით, დიდი არაა იდეალიზმთან თანახვედრის მომენტების აღმოჩენა, მარამ არის კი საკითხის ამგვარი დასაბამართებული? ხელოვნების პირობით-

ბის ფილოსოფიური იდეალიზმთან დაკავშირება გამომსახველობითი ფუნქციის შემცნებითი ფუნქციასთან გაიგივების შედეგია.

ლენინის მითითება ფილოსოფიური იდეალიზმზე უნდა გაგიფიქროს როგორც მხატვრული იდეალის ამოსავლის დამდგენი მეთოდი. ფილოსოფიური იდეალიზმი შეიძლება იქნეს მხატვრის ისეთი მოქალები, რომლებიც იდეალისტების შთაბეჭდილებად, რომელსაც პარტიული ღირებულება აქვს.

მარამ როგორ ხდება იდეალიზმით განსაზღვრულ ესთეტიკურ ღირებულებათა თარგმან პარტიულობის ენაზე? პროლეტარული პარტიულობა მკვიდრად დგას იდეალისტური და ისტორიული მატერიალიზმის პოზიციებზე, ამოლუტურად გამოირცხვლია კლასიკური ფილოსოფიური ნაწარვის დაკავშირება მუშათა კლასის მოწინავე რაზმის თეორიულ და პრაქტიკულ საქმიანობასთან. მით უმეტეს, რამტერფსა, თუ როგორ მივაკლებს გვას ესთეტიკური იდეალი, სოციალური ფილოსოფიური იდეალიზმს უკავშირდება, მაგრამ მაშინდებდა მუშათა კლასის პარტიულ ინტერესებამდე?

მხატვრული ნაწარმოების სოციალური მნიშვნელობის შესავსებად ხელშეწყობილხელოვანია მისი თემატიკური და სექციური კომპონენტები, მსჯელობითი მოვლუბული მტყიცეობა, საზოგადოებრივი მინარისის ასომთავრული მეთოდით წინ წამოხვევა, ნაწარმოების ტრაგიკული თუ ოპტიმისტური ფინალი და ა. შ. ამიტომ, როცა ხელოვნების ქმნილება ვაყვას, შედგენაში არ უნდა შევიყვანოთ კლასობრივ-პარტიული თვალსაზრისის გამართობა იდეურობაში, მთავარია ეს იდეურობა როგორ მიდის გეიხვევლამდე, მსმენელადმდე, მხილველადმდე, ახდენს თუ არა მის სუბიექტუალუბებს, აღრგებს თუ არა ასოციაციებს, წარმოშობს თუ არა პირიქითპულად ახალ შთაბეჭდილებებს და ხდება თუ არა ამ გზით თვით პიროვნების დადებითი ცვალებადობა.

ხელოვნების ყოველ ნაწარმოებში იწყებს რაღაც განწყობას — სიხარულს, შეშარებას, სიციხის სიყვარულს, თავდადებას, ამაოების, სევდის, მარტობის, შიშისა თუ სხვა გრძობებს. იმისდა-მისხედით თუ რა სიტუაცია იქნება, არ როგორ განწყობისა იწყებს ხელოვნების ნაწარმოები, ამაში მეცადუნება თვით ხელოვანის კლასობრივი პროფიცი. მოვლენათა დანახვის, მსოფლმხედნების ხასიათი, გემოვნება, ტემპერამენტა რამდენადმე კლასობრივი ხასიათის მატარებელია. შესაძლოა ნაწარმოების არც თემატიკური უშუალოდ არ ეხებოდეს კლასობრიობის პრობლემას, მაგრამ ხელთანის პოზიკია ქმნის ისეთ შინაარსულობას, რომელიც თავისი ხასიათით რამდენადმე მაინც გამოხატავს რომელიც კლასის ბუნებას.

ხელოვნებაში კლასობრივი იდეოლოგიის გარდატეხა გრძობათა ასპექტში ხდება, იდეურ საწყაროს ექვივალენტად გამოდის ემოციები, მისი მოქმედება არასოდეს არაა უშუალო, იგი ვაგონებულობია პიროვნების ფსიქიკით. პიროვნება, რომელიც ხელოვნების გავლენით რამე ცვლილება ხდება, ხშირად თვითონ ვერ გაუცნობიერება, რომ მასში ყალიბდება რომელიც საზოგადოებრივი ჯგუფისადმი ფსიქოლოგიური მიკუთვნილებობა.

მარამ ხშირად პიროვნების იდეოლოგიურად ჩამოყალიბებულ განწყობათა აღტყვა გამოწვევლია იმ ესთეტიკური იდეალი, რომელიც თავის შირიც განუპირობებია ფილოსოფიური იდეალიზმს. სქემატურად იდეალიზმის მატერიალისტური სახვევილებია შეიძლება შემდეგნაირად გამოიხატოს: მორალურ-სოციალური ღირებულებათა იდეალისტური გატყვა — ესთეტიკური იდეალი — სხვადასხვა განწყობათა კომპლექსი — პიროვნებაში პარტიულობის ფსიქოლოგიური შთაბეჭდილება.

ხელოვნების კლასობრიობა ხორციელდება მხატვრულ სახეთა და პირობითობათა ჯგუფით. აქ არის მეტ-ნაკლებად განსხვავებული რაოდენობის ფენა, რიგი, რომელთა მიღმა ქვეტექსტში ხდება კლასობრიობის გამჟღავნება.

2 ლენინი, კვლუტრისა და ხელოვნების შესახებ, გვ. 461 — 462.

ი. ბროდსკი
ვ. ი. ლენინი



რაც შეეხება ხელოვნების პარტიულობას, ის კლასობრიობის შემდგომი განვითარებაა. პარტიულობის შემთხვევაში ემატება ავტორის იდეოლოგიური სიმწიფე, მსოფლშეგრძნებისეული და მსოფლმხედველობისეული საწყისები მიზანწარმართულად ერთდებიან და ავტორი შეგნებულად უზამებს ესთეტიკურ საწყისს პარტიულ თვალსაზრისს.

მსოფლშეგრძნების და მსოფლმხედველობის მიმართება შემდეგნაირად შეიძლება ჩამოყალიბდეს: მსოფლშეგრძნებასა და მსოფლმხედველობას შორის სრული შესაბამისობა გამოირიცხულია. მსოფლშეგრძნება განსაზღვრავს გამომსახველობას, ხელოვნებას. მსოფლ-

მხედველობა — მეცნიერებას, ფილოსოფიას, მაგრამ მათ შორის არ არის გარდუვალი ზღვარი. ხშირად მსოფლშეგრძნება მსოფლმხედველობის ექვივალენტია. ეს განაპირობებს ხელოვნების იდეურ-კლასობრივ ხასიათს.

ხელოვნების კლასობრიობა ხორციელდება მსოფლშეგრძნებისეული მასალით, სახეთა შუალობის გზით. ხელოვნების პარტიულობა ხელოვნების კლასობრიობის განვითარებაა, მისი შემდგომი გაღრმავებაა. ხელოვნების ქმნილების კლასობრიობა და პარტიულობა საძიებელია ნაწარმოების ქვეტექსტში, მის ღრმა ფენებში და არა ზედაპირულ სახეებში, რემარკებში, პირდაპირ გამოხატვებებში.



ვ. ი. ლენინის ძეგლი ულიანოვსკში.

ბართყელი ჟურნალისგან სბუზარა ლენინურ ადგილებში

გლავაკებით გავლილი ქილომეტრები

ღური შენგელია

მ მანის დილით შევიკრიბებინეთ ჟურნალისტები. თვითმფრინავში ჩასვლის წინ ესაუბრობდით, ვხუმრობდით, ვხმაურობდით. ვგრძობდი, რომ ქვეცნობიერად ყველა ჩვენგანი ერთი აზრით იყო დაბუხებული და შეკავშირებული. უნდა ეწვეოდით ულიანოვსკს — ქალაქს, სადაც დაიბადა, ბავშვობა და ყრობა გაატარა ვლადიმერ ილიას ძემ; შემდეგ ყაზანი, გორკი, იაროსლავლი, ლენინგრადი — ქალაქები, რომლებიც თავიანთი სიძველთ, ისტორიული იმეათობებით თუ სიახლთ დიდი რუსეთის ისტორიის მნიშვნელოვან ნაწილს შეადგენენ.

მარშრუტი მოზრდილი და საინტერესო იყო. განავლელი გვეონდა 8 ათას კილომეტრზე მეტი.

გველოდა ამაღელებელი შეხვედრები ადამიანებთან და საგნებთან, რომლებიც დაკავშირებული იყვნენ ვლადიმერ

ილიას ძე ლენინის სახელთან. გველოდა რუსეთის მზეთუნახავი — ვოლგა.

— „იმოგზაურო, გაიცნო, შეისწავლო — ეს ნიშნავს იცხოვრო“ — ქეშარიტებაა. რა თქმა უნდა, გაგონილს ნანახი სჯობს.

უკვე საკმაოდ შალა მივფრინავთ. ქვემოთ კაკაბაძისეული პეილაჟები მოჩანს. ვინ იცის, ვინ რაზე ფიქრობს... სალაც, შორს, ღრუბლების თეთრ ბოლქვებში, მყინვარ-წყვერი წამოიშართა, თითქოს ჭეუამაქდარი უხუცესი გზას გვილოცავდა მოსკოვისაკენ.

მოსკოვი ჩვეული ფორაჩით შემოგვეგება. ყველა ჩვენგანს აღელებს დედაქალაქში ჩასვლა. იგი თავისებური სიცოცხლით ცხოვრობს, განსხვავებულად და განუყოფრებულად სუნთქავს.

ღრი ცოტა გვეონდა, გამთენიისას ულიანოვსკს უნდა გავფ-

რენესანსი. ამიტომ მავზოლეუმს მივაშურებთ. ყველას ერთი სურვილი გვექონდა — ერთხელ კიდევ დაგვეხედა ბელადისთვის, რათა მისი ნათელი სახე თან გავეყოლიდა მისსავე სახელთან დაეყოფიებოდა ადგილებში.

როგორც ყოველთვის, მავზოლეუმთან ახლაც საქმად დიდ მანძილზე გაიმთვლიეთ რიგი, ჩვენც შევეფერებოდით. ნელი-ნელ მივიწყვედით წინ. ლაპარაკაც კი ვერღვედებოდით.

...1924 წლის იანვრის სუსხიან, გვიან ღამეს წითელ მოედანზე დაბრუნდა კაცი, იგი დაინებით უცებრდა კერძოს კედლებს უზარმაზარ სილუეტებსა და მალს კომკებს. ეს იყო ნურთომილდგარი აკადემიკოსი ალექსი ვიქტორის ძე შუტსევი.

ნახვარი საათის წინ მან მიიღო მთავრობის სასწრაფო დავალება დაეყოფინებოდა შედგამდა ლენინის ცხედრისთვის მავზოლეუმის დაპროექტებასა და მშენებლობას წითელ მოედანზე, ოქტომბერში დაეძღულ გმირ მამათა საფლავებს შორის. დაყრდნობა დიდ სამი დღე რჩებოდა. დილით მშენებლებს საძირკველი უნდა ჩაეყარათ.

მთავრობის კომისიის წევრების დავალებით ლენინის მავზოლეუმზე უნდა ყოფილიყო სადა და დიდებული, იგი უნდა შეხამებოდა კრემლის კედელსა და წითელ მოედანს.

მოგვიანებით, მესამე და საბოლოო პროექტის შემქმნის შესახებ ბურთომილდგარი წერდა: «Я искал аналогии во всей истории архитектуры. Форму пирамид для Мавзолея на Красной площади я нашел неподходящей. «Ленин умер, но дело его живет» — вот мне казалось, та идея, которая должна быть выражена в архитектуре его Мавзолея. Исходя из этого я создал композицию ступенчатого памятника».

მეორე დილით გავფრინდით ულიანოვსკში. კოლგისპირეთის ამ ქალაქში 1870 წლის 22 აპრილს დაიბადა ვლადიმერ ილიას ძე ლენინი და აქვე გაატარა ბავშვობისა და ყრობის წლები.

...ძალზე სწრაფი ტემპით იზრდება ულიანოვსკი, ვანსაკეთრებით ბოლო წლებში. ქალაქის ყველა კუთხეში აშენებენ და ხაზარობენ წამბათრულანს. რეკონსტრუქციის გენერალური გეგმა თბუთმეტროდ წელიწადში მილიანად განხორციელდება და ულიანოვსკი ვოლგისპირეთის ულამაზეს ქალაქად გადაიქცევა. ისე, როგორც არასდროს. ვგრობობით და ვაშენებთ ახლა. — გვითხრა მშენებელმა ნიკოლოზ ჩუიკოვამ, — მომავალ წელს დეირ სტუმარი ეწვევა ჩვენს ქალაქს, რათა ზემოთ აღნიშნულ თვეში ბელადის დაბადების 100 წლისთავი. ჩვენი სურვილია, მათ თან გაეყვით კარგი შთაბეჭდილებები როგორც ჩვენს ქალაქზე, ისე მის მცხოვრებლებზე».

გავა სულ რამდენიმე წელი და აქ ჩამოსულ ექსკურსანტთა წინაშე გადიარებოდა ქალაქის ახალი პანორამა.

იუბილეზე ჩამოსული სტუმრები ნახავენ გვეგის მცირე, მავზოლეუმის მთავარი და ძალზე საინტერესო ნაწილს — მავზოლეუმის ცენტრს. მასში მოექცევა სახლი, რომელშიაც დაიბადა ვლადიმერ ილიას ძე.

მემორიალი მხოლოდ ძველი როდი იქნება, არამედ პრაბაგანდისტული სახლიც და საბოლოოდ იგი მარქსისტულ-ლენინური სწავლების თვისებურ ცენტრად გადაიქცევა.

მემორიალური ზონა მომუშავეტურიზითა და არქიტექტურული გადარწყვეტით წარმოადგენს მსხვილ არქიტექტურულ კომპლექსს დიდებული პრავოსლავოლური მშენებებით: ილია ულიანოვის სახლების პრავოსლავოლური ინსტიტუტი, ლენინის სახელობის წიხის სასახლე, ლენინის მოედან თავისი კომპლექსი, სკოლა-გიმნაზია, სადღესასწაულო და ლენინი, ლენინის ცენტრალური მუზეუმის ფილიალი, პოლიტექნიკური განათლების სახლი, ოქტომბრის სახლი, ოქტომბრის სასტუმრო, ათას ოთხას ადგილიანი მიმართული დარბაზი და სხვა.

მემორიალური ზონის მშენებლობაში მონაწილეობს მთელი ჩვენი ქვეყანა, აქ თითქმის ყველა რესპუბლიკის წარგზავნილებს ნახავთ.

მემორიალის ცენტრალური შესასვლელის წინ მშენებარე აუზი, რომელიც თემბურთი ნახატებით დამშენებულ ექვსასი კვადრატული მეტრის მოზაიკური კომპოზიციის მოედანზე გაიმდგა, იქნება ჩვენი რესპუბლიკის საწმებრი ბელადის ქალაქისადმი.

აქვე განლაგდება ქართულ მარბაროლოში გადარწყვეტილი სკულპტურული კომპოზიციები; მათზე ამოყვითლი სურათები გვიამბობენ ჩვენი ქვეყნის წარსულსა და აწმებზე. პრექტის ავტორი და შემსრულებელია რეგსუბლიკის კურატორების მთავარი მხატვარი ზურაბ ლუთველიძე.

იუბილეობის დამთავრდება ქალაქის რეკონსტრუქციის პირველი რიგი, ხოლო გენერალური გეგმის საბოლოო განხორციელების შემდეგ ქალაქში საშუადად დარჩება ისტორიული მნიშვნელობის რამდენიმე ძველი მშენობა. მათ შორის არის ვლადიმერ ილიას ძე ლენინის სახლ-მუზეუმი. და ვიდრე ამ სახლში მუზეუმიდოდ, ულიანოვსკელი მასპინძელი უფთოდ ილია ულიანოვის ძეგლს დავათვალიერებინებთ, რომელიც მისსავე სახელობის სკვერის შესასვლელში დგას.

მაშველით ტანპოლიტიკო პარტების ხეივანს ბაღის სიღრმეში ილია ულიანოვის საფლავია. ის ისეთივე სადაა, როგორც თვითონ ილია იყო. საფლავს მზრუნველი ხელი ატყვია, მისი მოვლა ყოველი ულიანოვსკელისთვის საბაბო მოვალეობაა. კათედრის მსგავს შეთავაზდა დაფარებულ ობლისკზე გაშლილი წიხი დღეს, ეს მოსანიშნავი პედაგოგისა და აღმზრდელის უცდავყოფის სიმბოლოა.

საიდან არ მოიღან ამ სახლში სიყვარულითა და მადლი-

ულიანოვსკი.
სახლი, რომელშიც
ცხოვრობდა ულიანოვის
ოთხი 1876 — 1878 წლებში.





ლენინგრადი. სმოლინი.

რების გრძნობით არასდროს აღმანიანები, რათა ერთხელ კიდევ შეავლიონ თვალი იმ აღმანიან გარემოს, სისადავესა და სიმყურადღებოს, რომელშიაც წლების მანძილზე ცხოვრობდა ულიანოების ოჯახი. ოცდაათხუთმეტი წლის მანძილზე აქ სამშვილთონახევარმა დამთვალეობებელმა გაიარა. ისინი თავიანთ გულწრფელ სიამოვნებასა და განცდებს ორიოდ სიტყვით გამოხატავდნენ შთაბეჭდილებათა წიგნში.

ერთსართულიანი, მოჭუქურთმებული, ლამაზი ხის სახლი ანტიკროლით. მასში ათი სამულო ზომის ოთახია. აქ ზედმეტი არაფერია, სისადავე და უზარალოება იგრძნობა ყოველ ნახივზე, ნივთები მათ მფლობელთა ხასიათებზე, სულიერ სამყაროა და საქმიანობაზე მიგანიშნებენ.

ოჯახის წევრთა პირველი მეგობარი წიგნი იყო. სამუშაო მაგიდებსა და წიგნის თაროებზე მუხვდებით ტოლსტოისა და ტურგენივის, პუშკინისა და ლერმონტოვის, შექსპირისა და შილერის, გოეთესა და ჰიუგოს, ნეტკასოვის, პისარევის, უსენსკისა და სხვა გამორჩეულ ადამიანთა ნაწარმოებებს.

მარია აღუქანდრეს ასუბმა და ოლია ნიკოლოზის ძემ თავიდანვე შეაყარეს და შეაჩვიეს ბავშვები შრომას და ისინიც კითხვას და მეცადინეობას დიდ დროს უთმობდნენ — სამუშაო მაგიდა და საწერი მოწყობილობა თითოეული ოთახის განუყოფელი ნაწილია.

...სასადილო ოთახში, თითქოს სათამაშოდ გამზადებული, ჩვეულ ადგილას დევს ჭადრაკი; ულიანოების ოჯახში ძალზე უყარდათ ეს სეროიზული თამაში. ხშირად იმართებოდა ნოლმე მწვევ საქადრაკო ბრძოლები მამას და ძმებს შორის.

მისიღები ულიანოების საერაო დასაცვენებელი ადგილი იყო. საღამოებით მარია აღუქანდრეს ასული უყრავდა როიალზე და ბავშვებს უშლიდა ნაწვევებს ოპერებიდან, რომასებს, სიმფონებს, ამიტომ ბავშვებმა ადრეულ ასაკში გაიგეს და შეიყარეს მუსიკა.

დიდი სიყვარულითა და რუღუნებით ინახავენ ბელადის სახლიან დაჯანსაღებულ ადგილებს ულიანოეცკელები: იგი განუყოფელი ნაწილია ქალაქის ახალი სუთნებისა და მაქის-ციხის.

ამ ადგილების სიბო ბოლომდე გაყავა ვლადიმერ ილიას ძეს და მათი მოვლენა ყოველთვის განსაუთრებულ სიამოვნებას ჰქვია იდა.

...ქალაქის ულამაზესი ნაწილია სანაბრო — შრომელთა დასაცვენებელი ადგილი. სიმწვანე მოძალადე ბლიდან ქვემოთ, სეპში, შესანიშნავი ვიზაჟი იშლება — მდორედ ძიკორებამებს ულამაზესი ვოლვა, მცხუნვარე მზე საოცრად ლიკვებებს მის ტალღებში და ნაოფერებად ჩრჩნდება უყან.

ფერთა სიმწვანია ფერადი სანახაობას ქონს. საღამოებით აქ იკრიბებიან ნააფვი ულიანოეცკელები, საუბრობენ, ერთობიან, ისვენებენ...

...და ამ დროს ქალაქის შუაგულში მათი სიმყურადღებოსა და სიმშვიდის დარაჯად, მათი ზენიერი მომავლის სიმბოლოდ დგას მერჯვასი ადამიანის — ვლადიმერ ილიას მეღვინის ძეგლი, რომელიც სადად და დიდებულად აქვს გადაწყვეტილი ცნობილ სეულტორ მანიზერს.

თამადა შეიძლება ითქვას, რომ მოქანდაკე მანიზერის ეს ძეგლი ერთ-ერთი საუკეთესოა ლენინის ძეგლთა შორის... ძეგლთან ყოველთვის ბევრი ყვავილია...

ულიანოეცკელები სუსხიანსა და მკაცრ ზამთარშიც ახარებენ ოთახის ყვავილებს და მერე სიყვარულით მოაქვთ ბელადის ძეგლთან...

სულიერი მწყაოფილებით სავსე გამოვთხოვით ლენინის მშობლიურ ქალაქს და ჩვენთვის განუყოფელი თბიამავლ „აოლითა პოპოვიჩიზი“ მოთავსებით. თბიამავლმა გეზი აიღო ყახანისძე. აფევევით რუსეთის მზეთუნახავს — ვოლვას.

დიდი და დიდებულა იგი — ხან წყარო და მშვიდი, ხანაც ბობოქარი და მრისხანე. განსაკუთრებით ლამაზია მისი ჩახველის წინ... ნაბირთან ყვავილობისა და ბალხის სურნელი შიღის, ისადგურებს რადე საოცარი, ვოლგისპირული სიმყურადღებო, რომელსაც სადად შორიდან, რბილი, ტალღასაით შემომარული, საოცრად მელიოდური რუსული სიმღერა არღვევს. შორს, დასალიერიში ვი, დიდი, წითელი ბურთი თანდათან იძირება წყალში და ვერ გაიჭრკვევია — მზე იძირება თუ ვოლვას ეკიდება ცეცხლი. აოლიები დაფარფატებენ ჩვენს ზემოთ ლადა და მსუბუქად. უნებლიდ მოგავიდნებათ რეპინის ცნობილი ფერწერული ტილო „ბურთალები ვოლვაზე“ და დისტრესესის სიტყვები ამ სურათის შესახებ: „არ შეიძლება არ შევიყარადეთ ისინი, ეს უწყევლო, არ შეიძლება მოსიკლდეთ მათ და თან არ გაეყვეთ მათი სიყვარული. არ შეიძლება არ იფიქროთ, რომ ხალხისათვის ხარ დაბადებული, რომ შენ სჭირდები მას“.

...ცნობილების 23 წელი ვოლგისპირებით გაატარა ვლადიმერ ილიას ძემ — სიმბრისკე განცლო მისი ბავშვობისა და ყმობის ქვეყნა, ყახანში მიიღო პირველი რველუციური ნათლობა, ცოკუქმერში გადასასახლეს იგი პირველად, სამარაში ლენინი ჩამოყალიბდა როგორც რველუციონერ-მარქსისტი.

ადრე თენდნდა ვოლგისპირეთში. გამოიფიქრა, თავს ვიყირი გემბანზე და ვტებებით ვოლგისპირეთი პეიზაჟებით.

გეზზე საქაიანი და მხიარული განწყობილება. ვეესაუბრებიან ცნობილ ადამიანები, ვისმინთ ლეკციებს „საინტერესო აღმოჩენებზე ლენინიანაში“, „ლენინი — ძურხალისტი“, „ხალხთა მეგობრობა და ბეჭდვითი სიტყვა“, „პუბლი-

ცისტი და დროა, „ლენინი და მსოფლიო კომუნისტური მოძრაობა“ და სხვა მრავალი.

ყაზანის ნავსადგურში 10 მაისს, დილით, შევედი. ცხრა მაისის საზეიმო განწყობილება ჯერ კიდევ არ განებლებულა. ქალაქი მზიარულობს. ხალხი ქუჩებში გამოსულა და დასვენებისა და გართობის ადგილებს მოსდებიან...

კულტურისა და დასვენების ცენტრალური პარკის წინ დგას მოქანდაკე მალკოვის სკულპტურული კომპლექსი „ასდერიძე“ — იმ გმირთა მოსაგონრად, თავი რომ შესწირეს თავიანთი ქვეყნის თავისუფლებასა და ბედნიერ მომავალს. დაჭრილი მებრძოლის ძლიერი სხეული და წინ გაშვებული მარჯვენა მხაზველს მოაკონებს გარდასულ დღეთა საშინელებებს. ორმოცი მეტრის სიმაღლის ობელისკი და მარადიული ცეცხლი საინტერესო სკულპტურულ კომპლექსს ქმნის. თავისებურია ქალაქის არქიტექტურული სახე, თანამედროვე კვარტალების ბევრით მხედვებით არქიტექტურის ძველ ძეგლებსაც. შენდება ახალი და იზრდება ყურადღება ძველისადმი.

აქ, ყაზანში, დაიწყო ვლადიმერ ილიას ძის რევოლუციური მოღვაწეობა.

ყაზანის უნივერსიტეტის თეორად შეფეთილი შენობა რუსული კლასიციზმის არქიტექტურული ძეგლია.

1887 წელს ვლადიმერ ილიას ძე შევიდა ამ უნივერსიტეტში — იურიდიულ ფაკულტეტზე...

უნივერსიტეტში ახალგაზრდა ულიანოვი დაუკავშირდა მოწინავე, რევოლუციურად განწყობილ სტუდენტებს და პირველსავე წელს მონაწილეობა მიიღო სტუდენტთა გამო-


სვლაში... იგი უნივერსიტეტიდან გარიცხეს და დააპატიმრეს. შემდეგ კი სოფელ კოტუშკინოში გადაასახლეს.

„უნივერსიტეტში გამართულ პრესკონფერენციაზე, ვლადიმერ ილიას ძე ლენინის ყაზანში ყოფნის პერიოდთან დაკავშირებულ ბევრ საინტერესო საკითხზე გვესაუბრნენ უნივერსიტეტის რექტორი და პროფესორ-მასწავლებლები. გვიამბეს უნივერსიტეტის საქმიანობაზე და ყაზანის დღევანდელსა და ზეარინდელ დღეზე. გავაცანეს ქალაქის გამოჩენილი ადამიანები...“


ვოლგისპირეთის ერთ-ერთი უძველესი ქალაქია ნიჟნი ნოვგოროდი, ასლანდელი გოგო. მოვლენებითა და გამოჩენილ ადამიანთა სახელებით მდიდარი ქალაქის მრავალსაუკუნოვანი ისტორია აღბეჭდილია მის მრავალრიცხოვან ისტორიულ-რევოლუციურ თუ ისტორიულ-არქიტექტურულ ძეგლებზე... ერთ-ერთა მათგანია კრემლი — XVI საუკუნის რუსული ფორტიფიკაციული ხეობითმოდგების რესანიშნავი ნიმუში.

დღეს ქალაქი გოგო ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთი მსხვილი სამრეწველო ცენტრია.

ნიჟნი ნოვგოროდში მარქსისტული მოძრაობის ჩასახვა და განვითარება შეიძლოდ არის დაკავშირებული ვლადიმერ ილიას ძე ლენინის სახელთან. გასული საუკუნის ბოლო ათწლეულში ლენინი არა ერთხელ ეწვია ნიჟნი ნოვგოროდს. ხედვებდა ადგილობრივ სოციალ-დემოკრატებს, უშუალოდ ხელმძღვანელობდა აქ რევოლუციურ მოძრაობას და გადამწყვეტი როლი ითამაშა ნივეგოროდის ბოლშევიკური ორგანიზაციის შექმნაში.



მოსკოვი, წითელი მოედნის ხელი.



...ნიენი ნავაგროლის ძველისძველ უბანში, მდინარე ვოლგის მარჯვენა ნაპირზე, როგორც შრომული, მაგამა დაუწყვირო სვედის სიმბოლო, დვას ერთსართლიანი ხის სახლი — გამოირჩის სახლად წოდებულ, რომელშიც ამჟამად ალექსანდრე მაქსიმეს ძე გორკის ბავშვობის სახლ-მუზეუმია. ეს ჩვენს ქვეყანაში ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული მუზეუმი — გასულ წელს იგი 220 ათასმა კაცმა დაათვალიერა. ამ სახლში ალიოზა მამის გარდაცვალების შემდეგ, 1871 წელს მოვიდა, ასტრახანადან.

მხახველს ნათლად წარმოუდგება თვალწინ ის სიღრუბლები, უსიღრუბლო გაჭრებება, რომელშიაც თავისი უსიხარულო ბავშვობა გაატარა რევოლუციის დიდმა მომდგრალმა მაქსიმე გორკიმ.

თერთმეტე წლის იყო ალიოზა პეშკოვი, ღვდა რომ გარდაცვალდა, მამინ ბაბამე უთარა: „ამა, აუფსი, შენ ხომ მედალო არა ხარ, ჩემს კისერზე როგია შენი ადგილი, სჯობს ხალხში გახვიდე...“

და ალიოზა პეშკოვი გავიდა ხალხში...
...პირად შეხვედრამდე დიდი ხნით არცე იცნობდნენ ერთმანეთს ვლადიმერ ილიას ძე და მაქსიმე გორკი თავიანთი მიღწეობებით, 1905 წლის ნოემბერში ისინი პირველად შეხვედნენ ერთმანეთს...

...ერთმა მრწამსმა, ერთმა იდეამ, ცხოვრებისა და რევოლუციური მოღვაწეობის ერთმა გზამ სამუდამოდ დააყვანა ბეული და დიდი მწერალი. „ძვირფასო, ალექსი მაქსიმოვი ძეგ“ — ასე უბრალოდ და ღრმა პატივისცემით მიმართავდა მწერალს ვლადიმერ ილიას ძე.

უკვე ხუთი ღვდა ვოლგაზე მიუცურავთ. შესანახავი სურათები ცეკლან ერთმანეთს, მრავალფეროვანი შთაბეჭდილებებით ვივსებით:

რომ...
ამ პოეტური სახელის სოფელს ადგომდებარეობდა და ბუნებაც პოეტური აქვს. ამიტომ აქ მწერლებმა სასიამოვნო შემოქმედებით ანტრექტად მივიჩნიეთ...

რომამ იმერული სოფლის იერი დაპყრავს — მთა-გორიანი, მწვენიემა ჩაფული სახლებისა და სოფლისათვის დამახასიათებელი სიმშვიდითა და სისუფთავით...

თანდათან უკახლოდობთ ლენინის ქალაქი. ლენინგრადადღე, გზად კიდევ ერთ უძველესსა და მშვენიერ რუსულ ქალაქს ვეწვიეთ. ეს იაროსლავია.

დღეს იაროსლავის ქუჩები, მოედნები და სანაპირო თავისებური მუზეუმია. ერთი თვალის გადავლებითაც რომ გავცნობ ქალაქს, მანც დაუციწყარი შთაბეჭდილება დაგრჩებათ. აშკარად შევიგრძნობთ ძველს, მაგრამ მედამ ახალგაზრდა — 950 წლის იაროსლავის ისტორიის სუნთქვას.

იაროსლავის მრავალსაუცუნოვანი მიწა განთქმულია შესანიშნავი ხეობათმომდებელი ძეგლებით, რომელთაც დიდი ადგილი უჭირავთ რუსულ ერთგულ კულტურას და რომელთაც თანამედროვენი თვალსჩინივით უფროხილდებან.

ჩვენი მოზაზრებობა დასასრულს უახლოვდება და მინც მთავარი წინააღმდეგობაა.
გავიკრეთ ვოლგა-ბალტიის ზღვის სანაოსნო ხაზი, ჯერ კიდევ ყრბულს საფარში გახვეული ონგრასა და ლადოგის ტბებში და მომზიბობობა ნევაშ ლენინგრადისაქვს გავიქცა.

ლენინგრადი...
სამი რევოლუციის ავანტი...
ქალაქი — ქვემარტივ გმირობისა და მამაკობის მავალთობი.

აქ ოქტომბრის ცეცხლოვან ღღებში დაიბადა საბჭოთა ხელისუფლება.
1924 წლის იანვრის მწუხარებით საცხდ დღეს დაიწერა ისტორიული სიტყვები: „წითელი პეტროგრადი — პროლეტარული რევოლუციის ავანტი... 1917 წლის ოქტომბრის უღიღესი მოვლენები, რომელთაც ჩვენი ქვეყნის ბედი გადაწყვიტეს, სწორედ ამ ქალაქში მოხდა... დაე, დღიდან პროლეტარული რევოლუციის ეს ქალაქი სამუდამოდ დაუკავშირდეს

პროლეტარიატის ბელადის — ვლადიმერ ილიას ძე ულიანოვი ლენინის სახელს...“

...და ამ დღიდან პეტროგრადს ლენინგრადი ეწოდება...
...როდენე ძვირფასა თითული ჩვეყანასათვის ლენინის ქალაქი თავის ისტორიითა თუ ღღვანდლობით! ეს ხომ ქალაქი-მუზეუმია, სადაც დიდგულად შერწყმულია ძველი და ახალი. გრადსულ დღითა მოსავინარს განსაკუთრებული სიფაქიზით ცვიღებან, მაღალნიჭიერებით ავებენ და ქმნიან ახალს.

ქალბისა თუ ჩანგის ოსტატებს, მხატვრებსა თუ ჩემს კოლეგებს, ვის იერი რავავსაბო შეუსხამთ ხოტბა ამ მშვენიერი ქალაქისათვის, რომელსაც საოცრად გასხვევებულ და განსაკუთრებული იერი აქვს — ერთმანეთს ენაცვლებინან საყოფლოთად ცნობილი არქიტექტურული ძეგლები: ზამთრის სასახლე და ისიკის ტაძარი, სძობენ და ყაზანის ტაძარი, პეტერგოფი, პეტრე-პავლეს ციხე-სიმაგრე და სხვა ძეგლები...

ამპირის სტილი მოძალბება ქალაქს, რაც გვიანი კლასიციზმის დიდ გავლენაზე მიგანიბნებს.
დაბაიჭებთ ლენინის ქალაქში და საბჭოთა ქვეყნის ისტორია იფურცლებს თქვენს წინაშე; თითოს გვსმით ავირობს ქუჩები, რომელმაც ღღვამირის ერთ შექმსლზე ახალი ადამიანური ცხოვრების წაწყება ამცნო მსოფლიოს.

1917 წლის ივლისი...
ღღობობთა მთავრობამ ვლადიმერ ილიას ძე კანონგარეშე გამოაცხადა და მისი დაპატიმრების ბრძანება გასცა.

...ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილებით ლენინი არალეგალურ მდგომარეობაში გადავიდა. ასეთომეტი დღე იგი ღრმა იატაკქვეშეთში ცხოვრობდა და მუშაობდა.

პეტროგრადის მუშათა თვზნი სესტროვცის ქარხნის მუშის სახით გატარებული ღღვები, ფარდული, რომლის ზედა ნაწილში, ხელისუფლითადაც ფართომხე იწერებოდა ძალზე ძინიშვებოვასი სურვილები და სტატეიბი...

...და როცა ვლადიმერ ილიას ძის ყოფნა იქ საზიში შეიქნა, ერთ წყნარ სიამობს რახლოვის ტბით იგი თივის კარავში გადუყავანს, როგორც თნიული მთიანობა...

...იატაკქვეშეთიდან ლენინი ხელმძღვანელობდა ბოლშევიკების პარტიის VI ყრილობას, რომელიც 1917 წლის დამლევებს შედგა პეტროგრადში.
სძობენ... აქ, ამ შენობაში, თითოეული წვა მოწევა ახალგაზრდა საბჭოთა რესპუბლიკის პირველი ნაბიჯებისა და ხომ მტბაბა დიდი ოქტომბრის სოვილისტიური რევოლუციის, ეს ხომ ლენინგრადის სიმბოლოა.

სძობენის საქცილ დარბაზში 1917 წლის ოქტომბერში მუშაობდა საბჭოების II ყრილობა, რომელმაც გამოაცხადა მთელი ძალუფლებების საბჭოების ხელში გადასვლა...

მესამე საბჭოელი. ოთხთი № 67.
ეს ვლადიმერ ილიას ძის პირველი კაბინეტიცა...

აქ ყველაფერი ისეა, როგორც არცე იყო. მძობლ ნივთების სამუზეუმი იერი მიუღლია... სიჩუმეა, სიკარგილე, ყველა საგანი თავისი გზით მოვიდა ლენინის სამუზეო ოთახში და ყველა მათგანს თავისი განსაკუთრებული ისტორია აქვს.

1918 წლის 10 მარტს ლენინმა დასტოვა პეტროგრადი.

...ვლადიმერ ილიას ძე განსამზავრებულად ემზადებოდა. მან ახლად დაწყებული სტატია — „ჩვენი დროის მთავარი ამოცანა“ გადასწავლა. სათაურის ქვეშ ნეკრასოვის, მისი სიყვარული პოეტის, ლექსი იწერა:

შენ ხარ ღდაბლი,
შენ ხარ მდიდარიც,
შენ ხარ ძლიერი,
შენ ხარ უსულოიც,
დედა-რუსეთო.

მან თვლი დადავლო სტატეის დასაწყისს და კმაყოფილი დარჩა, მაგრამ წერა არ გუცრამელება, დაუმთავრებელი სტატია საქალაღემში ჩაიღო, გზაში დაეამთავრებო, გადაწყვიტა...“

ამ ღღეს საბჭოთა მთავრობა საბჭოების რესპუბლიკების ახალ დღდაქალაქში — მოსკოვში გადასაცვლად მიეგზავრებოდა.

რსუსრ მენერალთა კავშირის ბაგებობის სემლივნოსებან

რომღმრ პრესაში გამოქვეყნებულ ცნობებიდან ვიცით, რაზანის მწერალთა ორგანიზაციამ ა. სოლჟენიცინი გარიცხა საბჭოთა მწერლების კავშირიდან. ეს დადასტურებულია დამტკიცებულია რსფსრ მწერალთა კავშირის გამგეობის სამდივნოს მიერ და მას მხარს უჭერს ჩვენი ქვეყნის ფართო ლიტერატურული საზოგადოებრიობა.

ყველასათვის, ვინც ყურადღებით ეივლება ლიტერატურული ცხოვრების ფაქტებს, ა. სოლჟენიცინის გარიცხვის საკითხი მოულოდნელი როდია. მისი ქცევა, მისი შემოქმედების მიმართულუბა დიდი ხანია ეწინააღმდეგება საბჭოთა ლიტერატურების ნებაყოფლობითი გაერთიანების პრინციპებსა და ანოცანებს.

ჯერ კიდევ ვასულ წელს სტატიამ „იდური ბძოლა, მწერლის პასუხისმგებლობა“ (26 ივნისის „ლიტერატურული გაზეთი“) ანალოზი ჰქონდა გაცემებული ა. სოლჟენიცინის მთელ რიგ ნაწარმოებებს, რომლებიც გამსჭვალულია ანტი-საბჭოთა ტენდენციებით, მოყვანილია დამაჯერებელი მაგალითები მის მიერ სსრ კავშირის მწერალთა კავშირის წესდების უხეშ დარღვევებისა.

სტატიამ ნათქვამი იყო, რომ ა. სოლჟენიცინის შემდგომი სამწერლო ბედი დამოკიდებულია იმაზე, შეძლებს იგი თუ ეერა მიხედვს თავის შეცდომათა სიღრმეს, ყურს ათხოვებს თუ არა ლიტერატურული საზოგადოებრიობის ხმას. „მწერალ ა. სოლჟენიცინს, — აღნიშნული იყო სტატიამ, — შეეძლო თავისი ლიტერატურული ნიჭი მთლიანად მოეხმარებინა სამშობლოსათვის და არა მის ბიროტის მსურველთათვის. შეეძლო, მაგრამ არ ისურვა. ასეთა მწერე უკმარებდა. ისურვებს თუ არა ა. სოლჟენიცინი იპოვნის გამოსავალი ამ ჩიხობას, ეს უწინარავს ყოველისა თვითონ მასზეა დამოკიდებული“.

სოლჟენიცინმა ქედმაღლურად უეგუებელყო ლიტერატურული საზოგადოებრიობის სამართლიანი კრიტიკა. არც კი გაუწევია წინააღმდეგობა იმისათვის, რომ მისი სახელი და მისი ნაწარმოები ბურჟუაზიულ პროპაგანდას გამოეყენებინა ჩვენი ქვეყნის წინააღმდეგ ცილისმწამებლური კამპანიისათვის. უფრო მეტიც, თავის მოქმედებასა და განცხადებებში იგი ფაქტურად შეუერთდა იმათ, ვინც საბჭოთა წყობილების წინააღმდეგ გამოდის.


სწორედ ვასული ორი წლის მანძილზე არალეგალური არხებით საზღვარგარეთ გადაცემული აღმოჩნდა სოლჟენიცინის მთელი რიგი წერილები, განცხადებები, ხელნაწერები და სხვა მასალები, მრავალ ასას ეგზემპლარად ქვეყნდებოდა სხვადასხვა ენებზე, მათ შორის რუსულ ენაზე, უცხოეთის მრავალრიცხოვანი გაზეთების, ჟურნალებისა და გამოცემდობების მიერ, და მათ შორის ისეთი აშკარად ანტი-საბჭოთა თვითგადრღეული ორგანოების მიერ, როგორიც არიან „პოსევ“ და „გრანი“.

მარჯვე ხელთ ორგანიზებული და ვაგზავნილი უბუღიკაციების ამ ნაკადს დართული აქვს არაორაზროვანი კომპლიმენტები ბურჟუაზიული კომენტატორებისა, „სოვეტოლოგებისა“, რომლებსაც ადვილად აღმოუჩენიათ სოლჟენიცინის თხზულებებში ლვარძლიანი თავდასხმები სოციალიზმზე, ციორიების საბჭოთა წესზე, ჩვენი ქვეყნის მტრებმა აიყვანეს იგი მათ მიერ გამოგონილი „სსრ კავშირში პოლიტიკური ოპოზიციის“, „ბელადის“ რანგში და „მომავლის წინასწარმეტყველადაც“ კი გამოაცხადეს.

ამასთანავე უნდა შევნიშნოთ, რომ ანტისაბჭოთა ცენტრები საზღვარგარეთ სოლჟენიცინის თხზულებათა გამოცემას იყენებენ არა მარტო ჩვენი ქვეყნის წინააღმდეგ პოლიტიკური ბძოლისათვის, არამედ სხვადასხვა ძირგამონსხრელი ორგანიზაციის პირდაპირი დაფინანსებისთვისაც. როგორც ვახუთი „ტაიში“ იუწყებოდა, სოლჟენიცინის თხზულებებისათვის ჰონორარის დარიცხვა ხდება მის ახგაროშზე, აგრეთვე ზოგიერთი ბურჟუაზიული გამომცემლობა მას ვადასცემს ეგრეთწოდებულ „ხსნის საერთაშორისო კომიტეტის“ ფინდში, რომლის ძირითადი ამოცანაა სსრ კავშირის და სოციალისტური თანამეგობრობის ქვეყნების წინააღმდეგ მტრული მოქმედების ორგანიზაცია.

მოქალაქეობრივი ნოვალეების სრულ დაიწყებას, სოციალიზმის საქმისდმი მტრულ პოზიციებზე ვადასვლას მოწმობდა სოლჟენიცინის „ლია წერილი“ რსფსრ მწერალთა კავშირისადმი. ა. წ. 14 ნოემბრით დათარიღებული ეს წერილი უკვე 15 ნოემბერს დაიბეჭდა „ნიუ-იორკ ტაიშიში“; ხოლო 16 ნოემბერს — პარიზის გაზეთ „მონდში“.

დასავლეთელმა პროპაგანდისტებმა დაუყოვნებლივ გამოი-



ყენეს ეს წერილი როგორც პოლიტიკური პროკლამაცია, გაანკლავს იგი ათობით თავიანთ გაზეთებში, გამოიყენეს: „ამერიკის ხმის“, ბი-ბი-სის და სხვა „ხმების“ მრავალ გადაცემაში.

ამ „უსტარის“ სტრატეგიები სულაც არ არის ნაქარხნევი ლიტერატურაზე ზრუნვით. პრეტენციოზული, ლანძღვითა და მუქარით, ფსევდოთეორიული მსჯელობებით სავსე, იგი არ შეიკვას არც ერთ მტკიცებას, რომელიც უკვე არ იყოს გამოყენებული სოციალიზმის წინააღმდეგ იდეოლოგიურ ბრძოლაში.

როგორც ჩანს, იმ სურვილით, რომ გაამართლოს დასავლეთში ისეთის მიკუთვნებული ტიტული „წინასწარმეტყველისა“, სოლუენიკინი გამოდის, არც მეტი არც ნაკლები, „მოლიანი და ერთიანი კაცობრიობის“ სახელით.

წერილის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, იგი სამარცხვინის არაფერს ზედას იმაში, რომ მისი შემოქმედება იარღი გახდა ჩვენი კლასობრივი მტრების ხელში. უფრო მეტიც, სოლუენიკინი უარყოფს კლასობრივი ბრძოლის თვით ცნებას, დასცილდა მას და აცხადებს: „ხვალ რომ მარტო ანტარქტიკის ყინულები დადნეს, ყველანი დასახარობად განწირულ კაცობრიობად გადავიცვებით, და მაშინ ვილას წასწრით ტყვირში „კლასობრივ ბრძოლას“?“.

სოლუენიკინის წერილი, რომელშიც იგი შეუწყნარებლობას, ადმინისტრირებას, სიძულვილს სდებს ბრალად მწერალთა კავშირს, თვითონ არის გაყენებული სიძულვილითა და ღვარძლით. „ბრმა გამძლივები“, „უსირცხვილოდ“, „ადმინისტრაციული ტიპები“, „თქვენ ატმოსფერო გახდა სიძულვილი“ — აი სხვადასხვა ვარიაციით ნახშიარი რა სიტყვებით, გაყვირების ნიშნებით და უშიაოთლ არის აპურებული მთელი ტექსტი.

სოლუენიკინის წერილი შეიკვას მტკიცებას:

„თქვენ გამოიტყუებთ დაუსწრებლად, სახანძრო წესით, გამოძახების დეკრეტს არ გამოიგზავნებთ, იმისათვის საჭირო ითხი საათიცი არ მოემცი, რომ რიანანამდე ჩამოვსულიყავი და დაევსრებოდი“.

ეს მტკიცება მთლიანი სიცრუეა. მას შემდეგ, რაც რიანანში დამთავრდა კრება, სოლუენიკინს გადაეცა ოფიციალური მიწვევა დასწრებოდა ჩსფსრ მწერალთა კავშირის გამგეობის სამდივნოს სხდომას. ვარდა ამისა, მას „გამომძახების“ დეკრეტს გაეგზავნა მოსკოვიდან

სოლუენიკინმა შეგნებულად აარიდა თავი ამ სხდომაზე დასწრებას, თვითონ არ ისარგებლა შესაძლებლობით, რომე-

ლიც მას მიეცა. ჩსფსრ მწერალთა კავშირის გამგეობის სამდივნო დღემო წესდების ზუსტი შესაბამისობით მოიქცა.

„თქვენ აშკარად გვიყენებთ, — წერს ა. სოლუენიკინი, — რომ გადაწყვეტილება წინ უსწრებდა „განხილვას“. კვლავ აღვადგინოთ ჰემოპირება. განხილვა სავსებით საკმარისი იყო. მაგალითად, ჯერ კიდევ 1967 წლის მაისში სოლუენიკინს ესაუბრნენ სსრ კავშირის მწერალთა კავშირის გამგეობის მდივნები გ. მარკოვი, ა. ტვარდოვსკი, ს. სარტაკოვი, ტ. ვორონიკოვი, 1967 წლის 22 სექტემბერს კ. ფედინის თავჯდომარეობით გაიმართა სსრ კავშირის მწერალთა კავშირის გამგეობის სამდივნოს სხდომა ა. სოლუენიკინის დასწრებით ორივე შემთხვევაში საუბარი არსებითად ეგებოდა მის პრეტენზიებს, მის შემოქმედებას, მის ქცევას. სამდივნოს ჯერ კიდევ იმ, სექტემბრის სხდომაზე შექმნიდა წინადადებანი სოლუენიკინის სსრ კავშირის მწერალთა კავშირიდან გარიცხვის შესახებ. მას მიეცა დრო — და საკმარისი ხანგრძლივი დრო — მოეუბრებინათ თვის. სოლუენიკინის სინდისზე რჩება, რომ იგი ახლ შეუბოლოდ ექცევა დაქტებს, ცდილობს თავიანი თავი უსამართლობის მსხვერპლად დასახოს.“

მართებულია გავისხენით ავრთვე, რომ კიდევ ერთი განხილვა სოლუენიკინის დასწრებით წინ უსწრებდა გადაწყვეტილების მიღებას — განხილვა რიანანის მწერალთა ორგანიზაციის კრებაზე. უნდა ითქვას, სოლუენიკინმა ამ შემთხვევაში მხოლოდ იმაზე იზრუნა, რომ ამ კრების „სტენოგრაფია“, რიგგულსა, მისივე მოწმობით, არავინ არ წერდა, წერდა მხოლოდ თვითონ, რაც შეიძლება მაღლ მოხედვარეობით დასავლეთში, სადაც იგი რამდენიმე დღის შემდეგ გამოქვეყნდა.

მაშ ასე, სოლუენიკინმა გამოიქცა თავისი აზრი. ნიღაბი მოიკიდა, ავტობორტრეტი გამოავლენა. თავისი „ლოწერილი“ მან დაამტკიცა, რომ დგას ჩვენი ხალხისა და მისი ლიტერატურისათვის უცხო პოზიციებზე; და ანით დაადასტურა საბჭოთა მწერლებს კავშირიდან მისი გარიცხვის საჭიროება, სამართლიანობა და აუცილებლობა.

„გეჭიროთ და არ გაუშვით!“ — ასეთია, სოლუენიკინის აზრით, მწერალთა კავშირის დამოკიდებულება ლიტერატურებისადმი.

რატომ „გეჭიროთ და არ გაუშვით“? ამას არავინ არ აპირებს იმ შემთხვევაშიც კი, თუ სოლუენიკინი ისურვებს გაემგზავროს იქ, სადაც ყოველთვის ასეთი ალტაცებით ზეგებიან მის ანტისაბჭოთა ნაწარმოებებსა და წერილებს.

შხატაბრ
აკადემიკოსთა
ნაშრომების
ბაიბლიოთეკის

ვ. ბორღი

ჩეკოსლოვაკიის მოდელი
ქალაქ კიევისათვის



საქართველოს რევოლუციონერების
სუფიანი ჩეკიანი ბიშიანი რევოლუციონერები



ქართულ-უნგრული ლიტერატურული ურთიერთობანი

ლაიოშ ტარდი

პართულ-უნგრულ მრავალსაუკუნოვან ურთიერთობას თუ პერიოდებად დაყოფით, უპირველეს ყოვლისა, თავაში გვეცემა თურქების შემოსევით განაპირობებული ლიტერატურული ურთიერთშეწყვეტის, სადაც გადამწყვეტ ფაქტორს ოსმალ დამპყრობთა წინააღმდეგ ბრძოლის საერთო მიზანი შეადგენდა. მეორე პერიოდი, ერთი მხრივ, სასიათღებო რუსეთის არმიით უნგრული და ქართული მსუბუქი სავაილეო პოლკების არსებობით, რომლებიც უკრაინის ტერიტორიაზე იყვნენ განლაგებული. მოგვიანებით, ამ ურთიერთობის ძირითად შტრიხებს გადმოაგვიყვანა იმ უნგრულ მოვ-

ზაურთა შრომები, რომლებიც, თავიანთი სამშობლოს თავდაპირველი ადგილსამყოფლის ძიებით გატაცებულნი, საქართველოს მიწაზე მოხვედრილან. ეს ურთიერთობანი, გასული საუკუნის შუა წლებიდან ახალ, მესამე პერიოდს ქმნიან და, პირველ რიგში, ლიტერატურული ურთიერთდანიტერესებით ხასიათდება. ჩვენი მიზანია მოკლედ შევხებით მესამე, კერძოდ, უნგრულ-ქართული ლიტერატურული ურთიერთობის დაწყების პერიოდს.

უნგრული პერიოდიკა საქართველოსადმი მიძღვნილ მეტად საინტერესო სტატიებს აქვეყნებს ჯერ კიდევ XVIII საუკუნის ბო-

ლოს. მაგრამ ლიტერატურული ხასიათის პირველ პუბლიკაციას მხოლოდ ჟურნალ „Felsőmagyarországi Minerva“-ს („ქვემო ჩრდილო-უნგრული მინერვა“) 1825 წლის ოქტომბრის ნომერში ათავსებს, სადაც სათაურით „ერთი ქართველი თავადის ლექსები“ გამოქვეყნებულია ორი ლექსის პროზაული თარგმანი უნგრულ ენაზე.

აი პირველი მათგანი:

„ამინდი ორგვარია: ზოგჯერ მოწმენდილი, ზოგჯერ — ნისლიანი. ცხოვრებაც ხან შველია, ხან მრისხანე. თუ ვინმე დაგვიცინებს, რომ ჩვენი ცხოვრება აგებლითად შეტრიალდა, უთხარი: ბედის ტრილი გათელავს მას, ვისაც კარგი თვისება აქვს. ვერ შედავ ზღვას, რომის ზედაპირზე ნავაგი დატურავს, ფსკერზე კი ძვირფასი მარგალიტები იმალება? ვერ შედავ, რომ აგი ქარები უბადრუკ ხეებს კი არ ამტვრევინ, არამედ მხოლოდ ცად აზიდულუბს? რამდენი ავაგვებელი თუ გადამხმარი ხეა ქვეყანაზე, მაგრამ ქვას ესერიან მხოლოდ მას, რომელსაც ნაყოფი ასობა. ცა მოტყედილია მანათობელი ვარსკვლავებით — მათ გვერდით მხოლოდ მზე და მთავრე განიცდის დაბნელებას. შენ მანამდე აქებდი საკუთარ ბედს, ვიდრე იგი თავად გგუთუნოდა და არაფრის შიში არ გქონდა გარდა იმისა, რომ დადგებოდა ჭამი ბედუკულ მართობისა. ბედი დიდხანს მოქმედებდა შენს სასარგებლოდ, მაგრამ მაინც გიღალატა, რადგან ეს ყოველთვის ასეა, ნათელ საღამოს ყოველთვის ბნელი მოჰყვება.“

მეორე ლექსი კი ასეთია:

„მოგზაურობის შესახებ. ოჰ, მოგზაურო, ნუ ნაღვლობ! აქ დატოვებული მეგობრის ნაცვლად მალე იპოვი სხვას. ხშირად იცვალე ადგილი; ცხოვრების სიტყვი ადგილის შეცვლაშია. არა ვიცი რა მოგზაურობაზე უფრო კარგი და სასიამოვნო; დროა დრო გაუფიქრებლად. დამდგარი წყალი მალე მყავდება და ყარს, მდინარე წყალი კი სასმელად საამაო. მზე ცაზე ყოველთვის ერთ ადგილას რომ იყოს გაჩერებული, ერთნაირად მოაბუჭრებდა თავს სპარსელსაც და არაბსაც. მთავრე არასოდეს რომ არ იკლუდეს, მუდამ სავეს იყოს, მოსაწყენი იქნებოდა ჩვენივით. ლომმა ტყვიდან ფეხი რომ არ იცვალოს, შიმშილით სული ამოხდებოდა, ისარი ვერასოდეს მოხვდება მიზანს, თუ იგი შველით არ იქნა გატყორცილი. ოქროსაც კი არ ვეწებოდა ფასი, სულ მიწაში რომ ყოფილიყო ჩამარხული. ძვირფას ალღოს ხეს ფასი არა აქვს იქ, სადაც იზრდება.“

მხატვარ-კადემიოსთა
ნამუშევრების გამოფენიდან

ა. სარქისიანი.

კომუნარის დახვერტა.





ჩვენ არ ვიცით, უცნობი ქართველი თავადის ლექსები როგორ მოხვდა ინდონეზელ ბრწყინვალე უნერულ ჟურნალში. ეჭვს გაიწვია მისი ქართული წარმოშობა. თუმცა, ამ საკითხის გადაწყვეტა ქართული ლიტერატურის ისტორიის მკვლევარებისათვის მივჩინდება.

გასული საუკუნის უნერულში ქართულ თემსაც გამოქვეყნებულ ლიტერატურულ ნაწარმოებთა მთავარი თავიუბურება ის არის, რომ უნერული ავტორები საქართველოს წარსულის, ან აწმყოს ასახვისას ფართოდ იყენებენ მხატვრულ ხერხებს. ასე მაგალითად, 1855 წელს დღის სინათლე იხილა უნერული მწერლის კანონი პ. სატმარის წიგნმა „საქართველოს უკანასკნელი დღეოვალა“, რომელსაც დიდი წარმატება ხვდა წილად. მას მოჰყვა იმავე ავტორის ორტომიანი რომანი, რომელშიც ასახულია მიიეთლა აჯანყება შამილის წინამძღოლობით. ორივე ნაწარმოების წარმატება დიდად შეუწყო ხელი იმ ფაქტს, რომ პ. სატმარი დახვეწილი მხატვრული ხერხებით აღწერს 1848-49 წლების განმთავისუფლებელი ბრძოლის უნერული პაპ-საბურთაო ბატონობაში მყოფი შედგენილთა და მეფის თვითმპყრობლობისაგან დაჩაგრული საქართველოს ბედს. ამ ნაწარმოებში მხატვრული ღირსებას ჩრდილს ფენის ფაქტი, რომ მათში ძირითადად ასახულია თავადაზნაურული სასოფლოება. მიუხედავად ამისა, ავტორი ცოცხლად იგდ-მოგვცემს უბრალო მიიელ მებრძოლთა სახეებს. რომანის ნაკლებ შეიძლება ჩაითვლოს ისიც, რომ ავტორი სათანადოდ ვერ აფასებს იმ უბრაატისობას, რომელიც მაშინდელ საქართველოს მოუტანა რუსეთის თვითმბრძოლთა. ყურადსაღებია ასეთი ფაქტიც: პ. სატმარი დიდი სისადავითა და ჭეშმარიტად პატივისცემით ვიგობა რუს ჯარისკაცთა სახეებს, რომლებიც იძულებული არიან შეასრულონ მეფის გენერალის ბრძანებანი.

XIX საუკუნის დიდმა უნერულმა მწერალმა-რომანისტმა მორ იოიამ აზრებით ლიტერატურული ნაწარმოები უძველეს ქართულ თემს. მწერალი, რომელიც უნერულში 1848 წლის აჯანყების აქტიური მონაწილე იყო, დიდ ინტერესს იჩენდა ქართველებისადმი და მხურვალე თანაგრძობას უწყობდა მათ თურქ მოხალაღებთან გაჩაღებულ ბრძოლაში. მორ იოია გაეცნო მრავალ ნაწარმს, რათა რაც შეიძლება უსჯელად აქვას ქართველი ხალხის მიმიე ხვედრი. იგი ღრმად ჩასწვლია ქართველი და რუსი ხალხების საერთო ინტერესებს და

თავის ნაწარმოებებში მათი საერთო ბრძოლის დაუვიწყარი სურათები შექმნა. ყოველივე ეს უნერულმა მწერალმა დიდი რაოდენ, ამას წინათ, ქართული პრესის საშუალებით გააცნო მკითხველს.

XIX საუკუნის უნერული ჟურნალები პირველი რიგში, „Hon és külföld“-ი („სამშობლო და უცხოეთი“)—1846 წლიდან მიყოლებული წლების მანძილზე აცნობდნენ თავიანთ მკითხველებს საქართველოს წარსულსა და აწმყოს ლიტერატურული ხასიათის სტატეგითა და ნარკვევებით.

საქართველოს დიდი თავიანთმცემელი იყო ბერტლან ჩუდაკი, რომლის დაბადებიდან ასი წლისთავთან დაკავშირებით გამოქვეყნებულ ნაწარმოებებში აღიარებულია საქართველოს სილაბაზე. ბ. ჩუდაკი ყურადღებას განსაკუთრებით იპყრობდა მიიეთლა ცხოვრება, „მყინვართა ქვეყნის ერთ-ერთი საინტერესო ტომთავანია ოსები... აღმდგრინი ფანტაზია, მიიების დროიდან მიმდინარე ქართველების პოეზია კი — გაიკლებით უფრო მიდინარია“ — წერდა იგი.

ინეე ზირის — დიდი მხატვრის მიხანა ზირის შორეული ნათესავის — ექსპედიცია ასი წლის მანძილზე რანდებჯონში ეწვია საქართველოს. მათ მოგზაურობას, პირველი რიგში, სამეცნიერო მიზნები ჰქონდა. მიუხედავად ამისა, ინდროინდელ უნერულ და უცხოელ მკითხველს, უნერულ და ფრანგულ ენებზე ჩინებულად გამოცემულ კრებულში გამოქვეყნებულ მხატვრული მასალის ზოგადი წარმოდგენა მიიწე შექმნა ქართულ ლიტერატურაზე. აგრეთვე იმ ღრმა პატივისცემაზე, რომელსაც უნერულში იჩენდნენ ქართველი ვისაძები.

იმევე ხანებში მორ დეჩი შეიღვეჯრ ეწვია საქართველოს, ძირითადად კი მის ჩრდილო ნაწილს. მისი წიგნები საქართველოს გეოგრაფიასა და ეთნოგრაფიას, რომლებიც მრავალ ენაზე გამოვიდა, გამსჭვალულია ერთობ თბილი გრძობებით. როგორც ინეე ზირი, ასევე მორ დეჩი გარკვეულ დეგობის უთმოდენ ქართულ მითოლოგიას, ზღბორ-სიკეთებრებსა და მალალ შეფასებას აძლევს მათ. ზირის ექსპედიციის ცალკეული წევრები თავიანთ შრომებში, საქართველოში მოგზაურობასთან დაკავშირებით, მრავალ საინტერესო საკითხს აშუქებენ, მაგრამ ამ შრომების ერთი ნაწილი მხოლოდ ხელნაწერთა სახით არის დაცული. ლიომი სადგეიციის მოგზაურობის დღიური, რომელიც იუსაქა ქართული ძეგლების, ქალაქებისა და სოფლების ჩანახატებით, ფართოდ

ასახავს ინდროინდელ ქართულ სინამდვილეს, ბელა პომეტა ღრმად ანალიზებს იმ ფაქტს, რომ ქართველმა ერმა შესძლო შეენარუნებია თავისი ენა, სარწმუნოება, კულტურა. იგი იმ დასკვნამდე მიიის, რომ ქართველი ერის სპარსეტიანა და თურქების მიერ განაღებულ რუსეთთან შეერთებას გადაარჩინა: ბელა პომეტა კიცხავს მანძინდელ ქართველ არისტოკრატებს, რომინე იგი მხოლოდ წარსულზე წუწუნებს, ქვეყნის საუკეთესო ნაწილს გერმანელებსა და ფრანგებს უთმობს, ხოლო მრეწველობისა და ვაჭრობის განვითარებას ხელს არ კიდებს.

მიხანა ზირის გარდა „ვეფხისტყაოსნის“ დასურათების, განსაკუთრებით დამსახურება მიუძღვის უნერულ-ქართული ლიტერატურული უთვითობის შემდგომ განვითარებაში. 1889 წელს, ცნობილი უნერული მწერალი და მთარგმნელი ბელა ვიკარი პეტერბურგის მასლოლოდ. აგარაჰ სწვევია მიხანა ზირის. მიხანა ზირიმ ბელა ვიკარს გააცნო რუსთაველის ომებისათვის შესრულებული საკუთარი ილუსტრაციები. ამ საუბრის შესახებ თვით ბელა ვიკარი მიგვიხრობს „ვეფხისტყაოსნის“ უნერული თარგმანის წინასიტყვაობაში: „ზირი ჩინებული წიგნი მამენა, რომელიც იმხანად გამოსულყო. წინ მელი ჩემთვის უნებო ენაზე, უცხო ასოებით დაბეჭდილი მხატვრული ნაწარმოები. ეს იყო XII საუკუნის დიდი ქართველი პოეტის შოთა რუსთაველის პოემა. ქართული წიგნი მიხანა ზირის ილუსტრაციებით... თარგმნი ეს წიგნი! — მიოთარა მან. — დიდი მხატვრის შთამავლობით სიტყვები არ დამეწყნია, — ხელი მოვიტე ქართული წიგნის შესწავლა“.

ბელა ვიკარი თავისი გადაწყვეტილების ერთგული დარჩა: შეისწავლა ქართული ენა და რაც უფრო ღრმად სწავლობდა ნაწარმოებს, მით უფრო ვერდებოდა თარგმნის სურვილი. „ვეფხისტყაოსნის“ მისეული თარგმანი მიხანა ზირის ილუსტრაციებით გამოვიდა ბულაჰუშკეში 1917 წელს.

პირველ და მთორე მსოფლიო ომებს შორის უნერული შეიქმნა ნახევრად ფასტურტი რეჟიმის პერიოდი. ამ დროს ნევიათად თუ პოევედა გამოსატლებას ქართველი ერთი დანიტერესებდა. პერიოდული პრესაში მხოლოდ აქა-იქ გამოჩნდებოდა ხილმე მთორე ზომის ნარკვევი. გამონაკლისს წარმოადგენს ასლახან გარდაცვლილი ანტფიჟაისტი მწერლის რევე სირამის მიერ 20-ან წლებში გამოქვეყნებული დიდი მხატვრული დირებელების მქონე დღიურები საქართველოში მოგზაურობის შესახებ, რომელიც წიგნის ბაზარზე არ გამო-

სულა და დღეს იმეათობას წარმოადგენს. მართალია, სირამაშ მკაცრი ცენზურის გამო საგრძნობლად შეამცირა თავისი ნაწარმოებები, მან მაინც შესძლია თავისი სიმბალითი გამოეხატა სოციალიზმის მშენებელი ქართული ერისადმი.

მას შემდეგ, რაც საქბოთა არმიამ უნგრეთი ფაშის ულსაჲნა გაათავისუფლა, ლიტერატურული ურთიერთობა საგრძნობლად გაფართოვდა ორ მიმეც ვრს შორის. ამ თემას ცალკე წერილი უნდა მიეძღვნას. აქ კი მხოლოდ რამდენიმე მაგალითს მოვიყვან: შანდორ ვერეში ხელმოწერედ თარგმნა „ვეფხისტყაოსანი“; უნგრულში კომპოზებულა იხილა მარტონ იშტვანოვიჩის მიერ თარგმნილი ქართული ხალხური ზღაპრების საკუთესო ნიმუშები; ქართულ თემაზე დაიწერა უნგრული ისტორიული რომანი; გამოსაცემად მზადდება ჟუჟა რაბის მიერ ოსტატურად თარგმნილი ქართული პოეზიის ანთოლოგია.

ზემოთ განხილული ლიტერატურული ურთიერთობის ძირითადი ნიშანი გახლდათ ის, რომ აღნიშნულმა ნაწარმოებებმა დღის სინათლე უნგრეთში იხილეს. ახლა კურადლება შევიჩროთ საქართველოში გამოქვეყნებულ უნგრულ ლიტერატურულ ნაწარმოებებზე. რადგან ამ მხრე სერიოზულ კომპლექსა ჯერ არ ჩატარებულა, შემოვიფარგლებით მხოლოდ რამდენიმე უნიშვნელოვანესი ფაქტით.

უნგრეთისადმი დიდი ინტერესითა და პატივისცემით არის გამსჭვალული სტატია „ორიოდ სიტყვა უნგრეთის ბედის შესახებ“, რომელიც ნ. ნიკოლაძის გაზეთ „ობზორის“ 1878 წლის მეათე ნომერში გამოქვეყნდა. გაზეთი „ივერია“ 1880 წლიდან სისტემატურად უთმობს ადგილს საქართველოში ჩამოსული უნგრული მცენებრების საქმიანობას და მკითხველს ამცნობს, რომ უნგრეთთან ჩამოსული ექსპედიციების მთავარი მიზანია ქართველთა და უნგრულთა ნათესაური ურთიერთობის გამოკვლევა. უნგრული მხატვრული ლიტერატურით

დაინტერესების ნათელი გამოხატულებაა რევიმეილის მიერ გადმოთარგმნილი მირ იოკაის მოთხრობა „შობლის გული“ („დროება“, 1884 წლის თებერვლის 28-ე ნომერი). მოვიანებით, „მოამემა“ 1894 წლის აგვისტოს ნომერში დაბეჭდლა მირ იოკაის კიდევ ერთი მოთხრობა — „სიქუელის ქალბი“. უნგრული ლიტერატურის ისტორიის თვალსაზრისით ეს მეტად საპატიო საქმეა. ჟესე გარეშეა, მოთხრობის მთარგმნელა ეკატერინე მესხი-მელიქი-შვილმა მსოფლიო ლიტერატურის არაერთი საუკეთესო ნიმუში გააცნო ქართველ მკითხველს.

„ივერიის“ 1899 წლის აგვისტოს 21-ე ნომერში დაბეჭდლა გამოჩენილი ქართველი მწერლისა და რევოლუციონერის ილია აგლაძის წერილი დიდი უნგრელი პოეტი-რევოლუციონერის შანდორ პეტეფის ცხოვრებასა და მოღვაწეობაზე, რომელიც ლიტერატურის სფეროში აერთიანებს საუკეთესო ქართულ და უნგრულ რევოლუციურ ტრადიციებს. შანდორ პეტეფს არსად არ ჰქონია ასეთი დიდი აღიარება იმ პერიოდში, მისი ქვეყნის ფარგლებს გარეთ. უდავოა, პეტეფის პიროვნება მასლობელი იყო კლასობრივი და ეროვნული ჩაგვრის წინააღმდეგ მებრძოლ ილია აგლაძისათვის; „პეტეფი უპირატესი უნგრული პოეტია, მსოფლიო სახელით. მას მსოფლიო ლიტერატურაში სამართლიანად უკავია საპატიო ადგილი. ამიტომ, ვფიქრობ, ჩვენი მკითხველს დაინტერესებს მისი ცხოვრება და შემოქმედება. პეტეფის მთელი ცხოვრება შეიძლება სამი სიტყვით დავასაიათოთ: გატირება, სამშობლის სიყვარული და მისთვის სიკვდილი. პეტეფის ლექსებში მკითხველი შეხვდება: ღარიბი გლეხობის ცხოვრების ამაღლებებულ სურათებს, თავისუფლების ბიძის, სამშობლისადმი სიყვარულს. უნდა აღინიშნოს, რომ იმ დროს იყო ერთი პოლიტიკურად ჩაგრული ქვეყანა — იურ. აი, ეს მდგომარეობა მოქმედებდა მის გულზე ყველაზე უფრო... მან თავის ლექ-

სებში დახატა თავისი ხალხის სული, იდეალები, ფიქრები, გულსტკივილი. ამიტომ გახდა ის უნგრეთის სახალხო პოეტი“. თუ ყოველივე ამას დავეუბამებო, რომ აგლაძეს თავისუფლად არ შეეძლო წერა, გასაგები იქნება, რა წინააღმდეგობის დაძლევა მოუხდებოდა მას მეფის თვითმკრობლობის ცენზურასთან ბრძოლაში. აგლაძის ნარკვევი უნგრულ-ქართული ლიტერატურული ურთიერთობის კიდევ ერთი ბრწყინვალე ნიმუშია.


პეტეფის ვთმობა ადგილი, აგრეთვე, „ენობის ფურცლის“ 1899 წლის 902, 903 და 904 ნომერებში.

„ივერიის“ 1903 წლის 233 ნომერში დაბეჭდლა ილია ჭყონიას მიერ შესრულებული, XIX საუკუნის მეორე დიდი უნგრელი პოეტის იანოშ არანის ლექსის „ოპ, რამდენი დავა“ ქართული თარგმანი, რომელიც პოეტი დასტურის 1848-49 წლებში განმავითავისუფლებელი ბრძოლის დამარცხებას.

ა. კუპრაძეს და გ. გაბუნიას ინიციატივით სოფლის ცკლუბის ეზოში, სკადასის სახლის აივანზე, მოაწყვეს სცენა და დაიწყეს წარმოდგენების დადგმა. 1920 წელს ალექსიმ დადგა „ტუნჯი“. მთავარ როლს ასრულებდა ირაკლი კანდელაკი (აწ გამოჩენილი კინორეჟისორი.). იმავე წელს ალექსიმ დადგა „ეკლენორა“. თვითონ ასრულებდა ასლან-გიგიეს, ირაკლი კანდელაკი კი — ლევან კრეკიაშვილს.

სცენისმოყვარეთა წარმოდგენები განსაკუთრებით გახშირდა საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ. ამ საქმეში დასს აქტიურ დახმარებას უწევდა რევიზიის თემდომარე ნიკოლოზ სიდაშინიძე, რომელიც თვითონაც მინაწილეობდა დადგებებში. ა. კუპრაძემ დაიწყო რეჟოლუციური ბიქის დადგმა: „ლურჯი ხალაი“, „ღაბრილი ორბი“, „მკვება ბებუთით“, „გაგემი“, „ყვარაბ და ქმზარი“ და სხვანი.

ა. კუპრაძეს ოცდაათამდე ბიქა აქვს დადგმული. მის მიერ შესრულებული როლებიდან (განასახიერა 96 როლი) აღსანიშნავია: ლევან ჭაბუკიძე, გაიოს ფილავა, პეტუა, აკოფა, ემზარი, არსენა, გიორგი სააკაძე, გიგუა და სხვა მრავალი.

მარტყოფელი პროფესიონალი მსახიობი: სოფიო ეპიტაშვილი, ნიკო გვარამა, ჭიტხა (ფაშვიკ) კუპრაძე, შალვა ბანეთიშვილი სოფლად ჩამოსვლის დროს ყოველთვის მინაწილეობდნენ სპექტაკლებში.

ა. კუპრაძემ თავის ოჯახის წევრებსაც ჩაუნერგა ხელნემბი-სადმი სიყვარული. მეუღლე ნინო მარტყოფის დასის მშენებეა იყო, ალექსის ძმა ფაშვიკი შემდეგ პროფესიონალი მსახიობი გახდა, ბი-

ვანო ეპიტაშვილი იგონებს, თუ როგორი წარმატებით სარგებლობდა მათი წარმოდგენები მუზიბელ სოფლებში. სცენისმოყვარეები „გატარებულზე“ მიდიოდნენ ნორითში, ლილოში, სართიჭაში და სხვა ახლო მდებარე სოფლებში. ერთხელ თურმე სართი-ჭაში ცხენების დიდი თაღლიში წარმოადგინეს ვანის რეჟისორით დადგმული „უგვირგვინო მეფენა“. ვანო შადიანის როლი გამოიღოდა. წარმოდგენას ესწრებოდა ერთი ნასვამი მილიციის თანამშრომელი, იგი ისე განრისხებულა ვანოს მიერ ოსტატურად წარმოსახულ შადიანზე, რომ რეჟოლუციურ უპირა და სცენისაგენ აჭირლა „შადიანის“ მისაკლავად. ხალხს ძლიერ დაუწყნარებია იგი და გარეთ გაუყვანია.

1956 წელი სოფლის კულტურულ ცხოვრებაში დიდმნიშვნელოვან თეატრალურ სეზონად ითვლება: გაიხსნა კულტურის სახლი. თუმცა კატის თანამედროვეთა უმრავლესობამ სცენა დატოვა, მაგრამ ძველმა სცენისმოყვარეებმა ახალგაზრდებს სასცენო მუშაობის კარგი ფორმები დააბეჭდეს.

კატო და ვანო კვეცი მისწრებელი შვილიშვილების ბებია და პაპა არიან, მანც დღესაც აქტიურ მინაწილეობას იღებენ სოფლის კულტურულ ცხოვრებაში. ჩაბისულ უცხო სტუმრებს ყოველთვის მასპინძლობს მათი ოჯახი. კატის სიმღერითა და დაკავრით ახლავ იხიბლებს მსმენელი. ლენინის, „შრომის წითელი დროშის“ და „საპატიო ნიშნის“ ორდენისანი მასწავლებელი ახალგაზრდებისათვის მავალითის მიმცემია.



ბიოლოგიის მასწავლებელი, რესპუბლიკის დამსახურებული პედაგოგი, ელენე სამკეპუშვილი ო სანიც წელს გადაცემულია, მაგრამ სკოლასა და სცენას მანც ვერ ეტოვა. იგი ახალგაზრდობის წლებიდანვე ჩაება დრამატულ წრეში, რომელიც ხშირად იესებოდა მხატვრული კითხვის ნიჭით დაჯილდოებული



მაშვილი ანდრო მონაწილეობდა საბჭოთა არმიის ქართულ თვატრში. ფაშკო და ანდრო სამამულე ომში დაიღუპნენ.

იმ წლებში, როცა სამსახურებრივი მდგომარეობის გამო ალექსი თბილისში ირჩებოდა და სოფელში ჩასვლას ვერ ახერხებდა, დადგმებზე მისი მუდგულე ნინო ზრუნავდა.

როცა სოფელში კულტურის სახლი გაიხსნა, ა. კუპრაძე წლების მანძილზე მის გამგედ მუშაობდა.

მიუხედავად ხანდაზმულობისა, ა. კუპრაძე დღესაც თბილისის პლენარის სახელობის კულტურის სახლთან არსებული სახალხო თეატრის დადგმებში მონაწილეობს; ამგვამდ ემსიონინია.

როგორც უმთავრეს ადვინიწები, ნინო ბილაძე იმ დროს კუპრაძე მისმა მუდგულემ ალექსიმ მიიყვანა სცენისმოყვარეთა წრეში. ნინო 1922 წლიდან თითქმის 30 წლის მანძილზე გამოდიოდა მარტყოფის სცენაზე. პირველად განასახიერა ირმა — პიესაში „ცეცვა პებუთით“; შემდეგ არც ერთი პიესა არ დადგმულა მისი მონაწილეობის გარეშე. იგი ასრულებდა სიდინას — („არსენა“); თამარს („ბატონი და ყმა“), ვუგუისს („პებო“), დედას („სურამის ციხე“), დედოფალს („ბატონა კახი“) და სხვ.

თვითმოქმედი მსახიობებისათვის მარტო როლების მომზადება როდი იყო მთავარი. მათ თვითონვე უნდა ემუშავა შესაფერისი ტანსაცმელი, მოწყობათ სცენა, ეთხოვათ ლაშები და სხვ. წარმოდგენის დამთავრების შემდეგ კი მიმე ტვირთაკადემულები ბრუნდებოდნენ სახლებში.

ძველი სცენისმოყვარეთა ახლა დიმილით იხსენებდნენ დიდი ლამპას, რომელიც სცენის წინ ეკიდა. მას გულმოდგინედ გამართავდნენ ხოლმე, მაგრამ თითქმის განგებ, ფარდის ახდის შემდეგ დაიწყებდა ბოლას. როლში შესულ მსახიობებს ზოგჯერ ავიწყლებოდათ მისთვის ყურადღების მიქცევა და ისე აბოლდებოდა ხოლმე, რომ მაყურებლები ყვიროდნენ: „ლამპას ჩაუწით, ლამპას ჩაუწით“. ახალი კულტურის სახლის გაიჩრადლებულ სცენაზე თამაშს რა სუბიანია, — შენატორის ნინო ახალგაზრდებს.

თანასოფლელი მსახიობები და მათა საქმიანობა რომ ხალხს მოსწონდა, იქნაღვე ჩანს, — ივრებს ნინო კუპრაძე, რომ სოფელში ახალმოზილებს ხშირად არეყვდნენ იმ გარემოს სახელებს, რომლებსაც სცენიდან ეყნიობდნენ.

* * *

სცენაზე ვუფრვიეთ შემოიტრეობდა ახვანი, მოხდენილი არსენა და ხმის ამოღებამდე უკვე დატყვევებული ჰყავდა მაყურებლები შესანიშნავი სცენური გარემოებით. სცენიდან ყოფილთვის მქუხარე ტაში მიაცილებდა ანტონ ტაბლიაშვილი. შეუძლებელი იყო არ მომიბლულიყო მსმენელი მისი გაყვაცური გარეგნობით და გულში ჩამეყვდომი ხშით.

მაყურებლებს არასოდეს დაეავწყდებათ მის მიერ პროფესიონალურად განსაზრებული როლები, მათ შორის შამილი — „შამილი“, საბა ბერი და თთარ ბეგი „ღალატში“, ხევისბერი გიჩა „ხევისბერ გიჩაში“, გულდა „ყარაბ და ეგრშინი“ და სხვ.

ანტონ ტაბლიაშვილი მრავალი წლის მანძილზე რეჟისორბდა სოფლის დრამა-წრეში; დადვა ა. ყახბეგის „არსენა“, ა. ცაგარლის „რია გინასავა, ვეღარ ნასავა“, სუნდუკიანის „პებო“ და სხვა მრავალი, რომლებშიც მაყურებლის საერთო აღიარება დაიმსახურეს.

ანტონ ახლა მებუთე ათელე წელს თბილის, მაგრამ კვლავ ახალგაზრდული შემართებით მონაწილეობს სცენისმოყვარეთა მუშაობაში.

* * *

ჯერ კიდევ 14 წლისა იყო შალვა ბანეთი იშვილი, რომელსაც პირველად თამაშმა „და-მამაში“ სცენაზე პირველი გამოჩენისთანავე შეიყვარა იგი მაყურებელმა და სწორედ მან აფიქრებინა პროფესიონალი მსახიობი გახდარიყო.

შავივ დამთავრდა დრამატული სტუდია, შემდეგ 25 წელი მუშაობდა ჭიათურის თეატრში, ხოლო 1956 წლიდან მშობლიურ სოფელ მარტყოფში დაბრუნდა, როგორც ახლად გახსნილი კულტურის სახლის ხელმძღვანელი.

რის სახლის სამსახური ხელმძღვანელი. სცენისმოყვარეთა დასმა შალვას ხელმძღვანელობით პირველსავე წესონში უკვეც მაყურებლებს ა. ცაგარის კომედია „ნანუშა“. მას მოყვა „ხევისბერი გიჩა“, „მედიერი ნაბიჯი“, „ყვარებულ თუთაბერი“ და სხვ.

შალვაე კარგი საქმე წამოიყვანა. იგი ხელმძღვანელობს მარტყოფის სკოლის მოსწავლეთა დრამატულ წრეს, ახალგაზრდებს შეყვარა სცენა. მისწავლებებს მის ხელმძღვანელობით დადგენ. თავფარავნელი ჭაბუკი“, „პირველი თეატრალი“, „კომმლე“ და სხვ.

* * *

მარიამ კახუაშვილი ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელია. უაღრესად ხალისიანი ქალი ყველა ახალი საქმის, ახალი წამოწყების სული და გულია. მასწავლებლობასან ერთად საზოგადოებრივ საქმესაც არ ივიწყებს — აგიტატორი და კულტურის სახლის მუდმივი აქტივისტია.

მარიამ კახუაშვილი სრულიად ახალგაზრდა ქალიშვილი იყო, როცა დიდი სამამულე ომის წლებში მასწავლებლობასთან ერთად ტრაქტორის საჭეს მიუჯდა და ომში წასული მამაკაციმ შეცვალა, ხნედა სოფლის კოლმურწრობის მიწებს. მასზე წერდნენ გახუთები: „კომუნისტი“, „ზარია ვოსტოკა“, „პრავდა“. მას მუშავებულთა ბრძავდა, ჩამოყალბა, რომლებში 30 წვერი არცხებოდა. მათ რიცხვში იყვნენ სახელგანთ პედაგოგები ანა ვიტატორი, ნადია და რუსუდან კირასაშვილები, დარიკო ლასიშვილი, ევალტორე ემბრავილი და სხვები.

ორ ათელ წლებზე მეტია მარიამი სცენისმოყვარეთა რიცგშია. ამ წნის განმავლობაში არ დადგებია პიესა, რომელშიც მას მონაწილეობა არ მიეღოს. უკანასკნელ წლებში მან დიდი წარმატებით განასახიერა გეიში „ხანუშაში“, ზინანი „ღალატში“, თათლი „დედოფალთაში“.

* * *

დაწყებითი კლასების მასწავლებელი რუსუდან კორახუაშვილი, თავისი სოფლის დიდი პატრიოტია. რუსუდანს მშობლიური სოფლის სცენაზე 25 წლებზე მეტი ხნის განმავლობაში მრავალი როლი აქვს განასახიერებელი სიყვარულით და პასუხისმგებლობის გრძობით.

* * *

გრიგოლ კალაძე ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელია. მარტყოფში თითქმის 15 წელიწადია მუშაობს ან ხმის განმავლობაში მონაწილეობს სოფლის თეატრულ ცხოვრებაშიც. უმთავრესად მთავარ როლებში გამოდის და კარგად: ანასახიერებს, თუთაბერის შობამეგდავი სახე შექმნა მან „ყვარებულ თუთაბერი“, ციმბირელისა — „ციმბირელში“, თთარ ბეგისა — „ღალატში“ და სხვ.

* * *

ელენორა ლევიშვილი აქტორის მედალზე დაამთავრა მარტყოფის სშაღლი სკოლა და სწავლა განაგრძო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში. უმაღლესი განათლების მიღების შემდეგ მშობლიურ სკოლას დაუბრუნდა მათემატიკის მასწავლებლად და ათ წლებზე მეტია აქ მუშაობს. კულტურის სახლის თეატრალური დასის სოფლი. შრომისმოყვარე ქალიშვილი ეწინააღმდეგარებს და აქტიურად მონაწილეობს სოფლის კულტურულ ცხოვრებაში. მის მიერ შესრულებული როლებიდან საყვარდლებია გულთაშე „ყვარებულ თუთაბერი“ და ზინანი „ღალატში“.

* * *

მარტყოფელ სცენისმოყვარეებიდან აღსანიშნავი არიან აგრეთვე ახალგაზრდა მასწავლებლები — შესანიშნავი მომღერალი და სცენისმოყვარე გერამ კახიანიშვილი, ჯუჯა ლევიშვილი, კაკო ბამაშვილი, ს. დიუნბაშვილი და სხვა მრავალი.

მარტყოფელ სცენისმოყვარეებს დიდი მხარდაჭერა აქვთ თანასოფლებელთაგან: ემსარება, ამხმენენ და ამოცხებენ. მათგან მათ, რომ მათ სოფელში აღიზარდა ბევრი თვითმოქმედი მსახიობი, ხელმძღვანელები ბევრი გამოჩენილი წარმომადგენელი.



16 დეკემბრის ვ. სარაჯიშვილის სახ. კონსერვატორიის დიდ დარბაზში მუშაობა დაიწყო საქართველოს სსრ კომპოზიტორთა კავშირის შემოქმედებითა პლენუმმა, რომელიც ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავს მიძღვნიდა. პლენუმის პროგრამა ითვალისწინებდა უკანასკნელი წლებისთვის მანძილზე, საქართველოს კომპოზიტორთა IV ყრილობის შემდეგ, შექმნილი ახალი ნაწარმოებების ჩვენებას. პლენუმის კონცერტებმა ცხადყო ქართველ კომპოზიტორთა შემოქმედებითი მოღვაწეობის ინტენსიურობა. ამაზე მეტყველებს პლენუმის კალენდარული გეგმა: ორი სიმფონიური და აზღვნივე კამერული კონცერტი, სამი ახალი ოპერეტა, სიმღერისადმი მიძღვნილი კონცერტი და კონცერტი სტუდენტ-კომპოზიტორთა ნაწარმოებებთან.

სიმფონიური მუსიკის კონცერტებზე შესრულდა სამი თაობის კომპოზიტორთა სამი ახალი სიმფონია — შ. მჭედლიძის IV სიმფონია, ნ. კუდიანაშვილის III სიმფონია და ვ. აზარაშვილის I სიმფონია. კომპოზიტორმა ალ. შავერსაშვილმა ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავს მიუძღვნა სიმფონიური პოემა „ლენინელები“. ნაწარმოები შეავსებულა დიდ სამამულო ომში ლენინის ქალაქის დამცველთა გმირული თავგანწირვით. ამ თარის ბ. კვერნაძემ და ირ. გეჯაძემ მიუძღვნეს „საუბიბო უეტრტიურები“.

დიდი ბულადისადმი მიძღვნილ ნაწარმოებებზე მუშაობას ამოაგრებენ კომპოზიტორები ს. ცინცაძე, რ. გაბრიჭაძე, ფ. ლლონტი და სხვ.

პლენუმზე წარმატება ხვდა ა. ჩიმაკაძის ნაწარმოებს „ოდა სამშობლოს“ დ. გარეჯილაძის ტექსტზე, რ. ლაიბის სიმფონებს, ნ. მამისაშვილის სიმფონიურ სურათს „ყინულოვან ობლასს“.

პლენუმზე ფართოდ იყო წარმოდგენილი კამერული მუსიკის ნაწარმოებები. შესრულდა ს. ნასიძის ძალზე საინტერესო I სიმებიანი კვარტეტი, მისივე ვოკალური ციკლი „ქართული სახლური პოეზიიდან“ ბანისა და ფორტეპიანოსთვის, ალ. შავერსაშვილის მეორე საფორტეპიანო ტრიო, თ. თაქთაქიშვილის სუიტები ფორტეპიანოს, ვიოლინოსა და ჩელოსთვის, გრ. კოკლადის საფორტეპიანო და ვოკალური ნაწარმოებები, ლენინის დაბადების 100 წლისთავსა და საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 50 წლისთავისადმი მიძღვნილ კონკურსზე პრემიერებულ ნაწარმოებები — ტ. ბაქრაძის „სევანური ჩანახატები“ ფორტეპიანოსთვის და რ. ქარუნნიშვილის კამერული სიმფონია ნონეტისათვის.

გ. აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიის თეატრში წარმოდგენილ იქნა ს. ცინცაძის ოპერეტა „სიმღერა ტყეში“ (ლიბრეტო ლ. ჭუბაბრაძისი), გ. ცაბაძის ოპერეტა „კურჯა სორელი“ (ლიბრეტო გ. თარხნიშვილისა) და ვ. აზარაშვილის „მეცხრე ტალღა“ (ლიბრეტო მ. გოგიაშვილისა).

პლენუმის კონცერტებში მონაწილეობდნენ საქართველოს სახელმწიფო სიმფონიური ორკესტრი, საქართველოს რადიოსა და ტელევიზიის სიმფონიური ორკესტრი, კამერული ორკესტრი, ნონეტი, ჩვენი რესპუბლიკის დირიჟორები, პიანისტები, ინსტრუმენტალისტები და მომღერლები.

22 დეკემბრის საქართველოს კომპოზიტორთა კავშირში პლენუმმა შეჯამა მუშაობის შედეგები. მოეწყო დისკუსია, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს ქართველმა კომპოზიტორებმა, მუსიკისმცოდნეებმა, ჩამოსულმა სტუმრებმა.

გ ე ზ ე უ ე ი — ი ს ტ ო რ ი ის ს ა რ კ ე

ვაჟა სამსონაძე

ასალციხის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი, რომელიც დიდი ქართველი მეცნიერის აკადემიკოს ივანე ჯავახიშვილის სახელს ატარებს, 1937 წელს დაარსდა. მუზეუმის კოლექტივი მესხეთის წარსულთა დანეტარესებული პირები იმთავითვე შეუდგნენ სამუზეუმო მასალების შეგროვებას და სულ მალე მრავალ საინტერესო ექსპონატს მოუკარეს თავი. დღეს ჩვენი მუზეუმის ფონდი შეიცავს მესხეთისა და საქართველოს ისტორიისათვის მეტად ძვირფას ნივთიერ და სხვა მასალას. აქედან, მრავო გამოფენებში,

რომელიც რუსთაველის იუბილეს წინაღუებში იყო მოწყობილი, ბევრი რამ არის საინტერესო და საყურადღებო. ახალი სამუზეუმო გამოფენა უკვე მრავალმა ათასმა კაცმა დაათვალიერა, ექსპონიკია თანამედროვე სტილითა და გემოვნებით არის გაფორმებული ახალგაზრდა თბილისელი მხატვრების ს. კენჭაძისა და თ. ციციშვილის მიერ.

დაივლი საგამოფენო ოთახებს, ათვალეიერე ექსპონატებს და გზილავს, ვაამაყებს ჩვენი სახელოვანი წარსული, ძველი ქართველების ნაკვალევი, მათი ნიჭითა და

მკლავით შექმნილი ძვირფასეულობა...

პირველ ოთახში გამოფენილია დიანტიმითის ნატეხები თვეზების ჩონჩხების ანაბეჭდებით (რაც იმასზე მეტყველებს, რომ აქ ოდესღაც მიწა უღვით ყოვლი დაფარული), ქვის ხანის იარაღები (ქვის დანა და სხვ.) მესხეთ-ჯავახეთის ისტორიულ-არქეოლოგიური ძეგლების რუკა, ასალციხის „ამირანის გორის“ საერთო ხედი (ფოტო), პირველყოფილი ადამიანები წარმოშობის საკითხთან დაკავშირებული მასალები და სხვ. მეორე ოთახში გამოფენილია „ამირანის გორის“ მასალები (თიხის ტურ-



ტლები, ხელსაფეხები...), რომლებიც განკუთვნილია ძვ. წ. ა. III ათასწლეულს. აქვე მოიხსენიები პერიოდის განმავლობაში, რომელიც აღმოჩნდა სოფლებში — ანდრია-წინაღობი, ზველში, ლღვებში, უდში, ბორჯომის ტბებში; მასალები ახალი წელთაღრიცხვის საქართველოს შესახებ. ქრისტიანობის პირველი საუკუნეების შესახებ ჩვენში, ქვის დიდი ჯარი ძველი ქართული წარწერით (ძნელად ითვლება დროთა განმავლობაში წაშლილობის გამო). შესახებ თათხში მეფე დავით IX-XII ს. ს. საქართველოს ისტორიის ანსახველი ნივთიერ, წიგნად და ფოტომასალებს, საფლავის დიდ ქვას სამეგრეო და სპარსილო ირანლების გამოსახულებით. XIII-XVII საუკუნეებში აქვთ დამოძიბილი მეთხე თათხი — სხადასხა სხის სპარსილო ირანლები, მონღოლურ-არაბული და ქართული საოჯახო კუჭრებში, აწყურები ამოჩინილი ქვევრები დევის ნარჩენებით, ჯარის გამოყვითობა ხეზე და სხე. მეხუთე თათხში მეფე ერეკლე II-ს და შემდეგდროინდელი ამბები ნაჩვენებია. აქ ვხედავთ კაცან თოფ-დამაჩებს, ხმალ-ხანჯლებს, თოფის საბირისწამლებს, სავან-ხეებს; რუსთ-საქართველოს შეჯერებისა და ახალციხის განთავისუფლება-შემოერთების ამსახველ მასალებს, ახალციხის აღების მონაწილე სარდლების ფოტოსურათებს, მხატვრულ სვეტიცხლს მისასპილის ნა-მუშევარს — „აწყურის ციხე“, „ასპინძის ომი“, „ახალციხის იერიშით ალება“. მხახველთა დიდ ინტერესს იწვევს აგრეთვე ახალციხეში ფაშა ჩივთალარიანის მიერ მუხუშში თოფის დამამუადებელი სახელო-ანო. ახალციხეში ამზადდებდნენ თოფებს ხმალ-ხანჯლებს... ხოლო შემდეგ თათხი (XI ს. და XX ს. დასაწყისი) ნაჩვენებია ახალციხური საკრავების ნიმუშები, აქურ ხელისანთა დროშები, მუსიკალური საკრავები, ვაჭართა ტიპები, ძველი ფეხლები და საფეხლები, მესხი ქალების ნახელები წინდები, ხურჯინები, არბის საქსოვი დასხვა, ერთეული, ქართული ტანსაცმელ-ფეხსამედი... აქური და აქ მოღვაწე მწერლებისა და ისტორიკოსების პორტრეტები (პ. ხარისჭირაშვილი, მ. თამარაშვილი, კ. ვინძე მესხი) იფანე გაგაჩაძე, პ. უმიკაშვილი, ზ. ჭიჭინაძე). მათი ნაშრომების ნაწილი; 1905 წლის რევოლუციის ამბები ახალციხეში და სხე.

ასეთია ისტორიული (რეგოლუცი-ამდელი) პერიოდის ექსპოზიცია ჩვენს მუზეუმში.

საბჭოთა პერიოდის ამსახველ ექსპო-ზიციაში ფართოდ იქნება გამოფენილი სა-ქართველონი და, კერძოდ, მესხეთი, საბ-ჭოთა ხელისუფლების დამყარების, პი-რველი ხუთწლეულების, დიდ სამამულო ომში მხარის მონაწილეობის, ობის შემ-დგომი პერიოდის, კომუნისტური მშენ-ბლობის ამსახველი მასალები. ბევრი სა-ინტერესო ექსპოზიტა მუხუშში გამოფე-ნის გაგრევე.

ყოველივე ეს, რაც მუხუშშია, თუ შეი-ძლება ასე თქვას, მიწის ზედაპირზეა მოპოვებული, ე. ი. ამ მასალების რაიმე სა-ათვის მესხეთში არ წარმოებდა რამე სე-რითული კვლევა-ძიება, სახანგებო მე-ცნიერული ექსპედიციები. გამოსაკლისა მხოლოდ ისტორიულ მეცნიერებათა კანი-დატის ტარიელ ჩუბინიშვილის მიერ „ამი-რანის გიორგი“ და არქიტექტურის კანი-დატის გიგი გაფრინდამშვილის მიერ ვანის ქვაბებში ამ ბოლო ხანებში წარმოებული გათხრებისა და სპელოლოგიური სამუშა-ოების დროს აღმოჩენილი მასალები, რომელთა შესახებაც იყო აღნიშნული ჩვენს წინადა-განათხებით. სასურველია, რომ ასეთი კვლევა-ძიებითი სამუშაოები, რომელთა-ვაჯახებით კვლავაც გაგრძელდეს უფრო ფართო მასშტაბით, მეტი მონიშნე-ბითა და გულისხმიერებით. მესხეთის მი-წა ბევრ საიდუმლოებას უნდა იტყვევს. ჩვენს წინაპრებს, დამაყობილებთან გა-დაცემის მიზნით, მრავალი განძეულობა უნდა გადაგებულთ მიწაში, დარნებმა და გამოქეპებული, რომაც ასე მდიდარია სამხრეთ საქართველო: მესხები მამინაც კი, როცა ისინი დაბეჭობილი იყვნენ, თავისიწინებით უფრთხილდებოდნენ, ყო-ველნაირი საშუალებით იფარავდნენ ყოვე-ლივე ქართულს, რაც დატოვებული ჰქო-ნდათ წინაპართან. მათ იცოდნენ თავი-ანთი დიდებული წარსული, ასეთთ თავი-ანთი წინაპრების გიორული და განათლ-ების შუქით მოხილი სახეები: მთაწმინდე-ლები, ოპსრები, ახალციხელები, ზა-რზელები, მხატვრები, ფილოსოფოსები, პოეტები, რუსთაველი! თვითონ ედგათ ან ხელი ეპატათ ნამოღვაწარ-ნამავალი კნშილებანი, იცოდნენ ამ ქმნილებათა ფა-სი! ამ, სწორედ ერთეულობის ასეთი შე-გნება იყო განმასწავრებელი მათი სულის სიღადასა, იმისა, რომ უამრავი მტრის დაუსრულებელმა თარეშმა და ძალადობა-მაც კი ვერ შესძლო მესხეთის სრული გა-ნადგურება. სწორედ ამიტომ ხალხს ბევრი

რამ უნდა გადაგებულა, რის კვლავაც ვაფან-დროზე უნდა იმავნო მტრებს და... ჩვენთვისაც იგი ვერანარია.

ვინ არ მოუხიბლავს და აღტაცებამი მოუყვანია მესხებს, ვის არ უთქვამს და დაწერია მასზე! მაგრამ მინდა ამ მოვიფირო გამოჩენილი პოეტისა და მე-ცნიერის გიორგი ლეონიძის მამულოშე-მორი სიტყვები. სიკვდილის საფეხებზე მიგაყვებულმა პოეტმა რუსთაველის ოეზი-ლეს წინა დღებში ღრმამინარისანი, გულსითი წერილი-მოლოცვა გამო-უგზავნა მესხეთის მშრომლებს, „მეგრეა-ნი დებო, ძებო, მწესონ — ახალციხე-ლინი!“ ასე იწყება ეს ბართა. ავტორი გულისტკივილით აღნიშნავდა, რომ არ შეუძლია მესხეთში მიბრძანება და შირი-დან უღოვას მესხებს დიდი „მესხი მელე-ქისი!“ საზომი მსვლელობის დაწყებას მშობლიურ კუთხეში, რუსთაველის მხა-რეში“. ამ წერილში გ. ლეონიძე ერთ-ხელ კიდევ დავაგაოქრებს მესხეთის წარ-სულზე, მის პოლიტიკურ-სოციალურ-კულტურულ დიდებაზე, აღადგენს ჩვენს წარმოდგენაში დიდ მესხთა სიძველესა და სხელებს, „სალამი დიდებულ მესხეთს!“ კითხულობს წყურღს და გესმის მისი და-მწერის ომისანი ხმა. „რუსთაველის სახე-ლი — განგებობს პოეტ — მისი სვეტიც-ტასოსანი“ ჩვენ მოგავიწყებენ ჩვენ მოვა-ლოებას! — მართლმშელობისას, ჩვენი ქვე-ყნის აღორძინებას და გაძლიერებაში ჩვე-ნი წულიდის შეტანისას, კერძოდ მესხეთის პატრიოტიზმისა, „ვეფხისტყაოსანი“ ყოველწამიერად გაგაკასუნებს ჩვენი ერთ-ნული ტრადიციების შენარჩუნებას, ქარ-თული ენის ფაქიზად შენახვას, წყნობის დაცვას, ერის გამარავლებას და ერთეულ აღზრდას... ვასახელით ქართველი ერი და ვადიდოთ საქართველო — უკვდავი მოთას შობილებ... კიდევ სალამი!“ ამ წერილის აიტორაგო ჩვენი მუხუშში ინახება!

ესა ჩვენი გულისთქმა! დაე, ჩვენმა მეცნიერებმა, არქეოლოგებმა თუ სხელო-ლოგებმა გააცხოველენ თავიანთი ინტერე-სი ჩვენი მხარისაში, გააფართოონ თავი-ანთი სამუშაოები მესხეთ-ვაჯახეთის ის-ტორიულ ადგილებში, მოიხერხონ ჩვენს მხარეთმცოდნეობის მუხუშში, რათა ყოველ-მხრივ გაფართოვდეს იგი (ეს შიანია მი-ხამშეურილად ყველა დამთავლიერე-ბელს), იქცეს ერთ-ერთ სამეცნიერო კვლე-ვით დაწესებულებად სამხრეთ საქართვე-ლოში — მესხეთში!



მარო მესხი

დღღო ზურაბიშვილი

საშუაშე-ნახეპარე მეტი ხნის ისტორია აქვს ველისციხის სახალხო თეატრს. ჯერ კიდევ მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისში ველისციხის თეატრის სცენაზე დაიდგა დღეისათვის პოპულარული აზერბაიჯანელი კომპოზიტორის უზეირ ჰაჯიბეკოვის მუსიკალური კომედია „არშინ მალ-ალან“, ხოლო 1885 წელს გ. ერისთავის „ძუნწი“ და რაფიელ ერისთავის — „ბიძისთან გამოსუმეობა“; მამინ თეატრის შენობა ეკუთვნოდათ თავად ჯანდიერებს, მათი მოუზრავი იყო მიხეილ მესხი, რომელიც თა-

ვისი ოჯახით შენობის ქვედა სართულში ცხოვრობდა. სწორედ ამ შენობაში დაიბადა მიხეილ მესხის ქალიშვილი მარო. მისი მშობლები დაინტერესებული არ ყოფილან, რომ მათი გოგონა მსახიობი გამოსტუდოყო; იგი თბილისში ჩამოიყვანეს და მეშვიდე ქალთა გიმნაზიაში მიაბარეს. გიმნაზიაში სიმღერის მასწავლებლად მუშაობდა კომპოზიტორი ზაქარია ფალიაშვილი, ერთხელ ზაქარია ფალიაშვილი სიმღერაში გართულ მაროს მიუახლოვდა, ნახად მოედერა და ღიმილით უთხრა: „რატომ

შეჩერდი, განაგრძე სიმღერა, საამერი ხმა გაქვს... შენგან კარგი მომღერალი დადგება“...

მარო ბევრს ოცნებობდა, დამაკმაყოფილებელს კი ვერაფერს ხედავდა. სრულიად მოულოდნელად გადაწყდა მისი მომავალი.

1923 წლის ზაფხულში ველისციხეში სავასტროლოდ ჩამოვიდა ქართული დრამატული დასი შალვა დალიანის ხელმძღვანელობით, წარმოადგინეს „საშინელი შურისძიება“, ანუ „შეილი თუ საყვარელი?!“ პატარა მარო ისე მოხიბ-



ლა ამ წარმოდგენამ, რომ ვადაწყვიტა თავისი მომავალი სცენისათვის დღევანდური ბრძოლა.

1925 წელს ევლისციხეში რეჟისორ ელისო ინჟოელიის ხელმძღვანელობით ჩამოყალიბდა მუდმივი დრამატული კოლექტივი. თითქმის მთელი ახალგაზრდობა ჩაება თეატრალურ მუშაობაში. ახლად შექმნილმა დანამაყურებელს უნდა ყოფილიყო სიმშობა „გუმონდობით“, ამ სპექტაკლში მღვდელ მაროს დებიუტიც. მან ისეთი სიბრძნით და გულწრფელობით განასთავია ბანებივრებული, ცეკვატივანა ფიგურა, რომ რეჟისორმა ინჟოელიამ თქვა: „სიძველეს თეატრი მართა მესხის სახით სამიწელ და ნიჭიერ ძალას შეიქმნა“...

პირველად რომა დიდი შემოქმედებით სიხარულით განაცდივს მაროს კულისებში მიმართული, აღმდეგებული გოგონა ხელში ატაცებული გამოიყვანეს და თავიციბი გაუმართეს.

ახალგაზრდა მსახიობმა მღვდელ ყაზბეგის „არსენაში“ ნინოს როლი შეასრულა. მაყურებელი ძლიერ გაახარა მაროს მეორე გამარჯვებაში. ამ ყაზბეგის გმირებზე შეყვარებულმა მარომ „განკიცხული“ გასაცნობა. 1928 წელს ევლისციხის სახალხო თეატრში რეჟისორ ალიომა ჯაყელის ხელმძღვანელობით პესეს დაიდგა კიდევ, სადაც მაროს მოავარი როლი დიდი ინსცენირების ავტორმა თამაშა. თანაშემწე მაყურებელთა ატაცებას საზღვარი არ ჰქონდა. მარომ განსაკუთრებით დამაჯერებლად ჩაატარა სივრცის სცენა. რეჟისორმა ჯაყელმა მაროს მიუღოცა კიდევ ერთი გამარჯვება და უთხრა: შენ მომავალში დრამის წარმწევალ მსახიობი იქნები. ამას მოჰყვა მარო მესხის მიერ თბილის-შესხილული დაუფიქრავი სახეები ასია („არწმუნ მალ-აღამა“), სიღუპე („გამეტკორით“), დღესხანა („ორი გმირი“), ციციანათლა („ციციანათლა“), სონა და ქაბატო („ხანაშუა“) და ნუში (ა. და ს. მხარგრძელების „მიცვლადეული იძულებითი“) და მრავალი სხე.

1929-30 წლების სეზონში ევლისციხის თეატრში გამოტოვდა რეჟისორ იოსებ მებერტიშვილი მიწვევის. რეჟისორისა და კოლექტივის თავადებულმა შრომამ უშედეგოდ როდი ჩაიარა. 1930-31 წლებში სახალხო თეატრმა სახელმწიფო თეატრის წიგნება მიიღო. დასმე შეიკრა ახალი კადრებით. სახელმწიფო ნაწილის ხელმძღვანელად და რეჟისორად დაინიშნა ი. მებერტიშვილი.

პირველ სპექტაკლად მაყურებელმა ლავრენტიის „რეკვიამ“, სადაც მარომ ბოზლონის როლი ისე დამაჯერებლად თამაშა, რომ მისმა მოსიყვარულმა მაყურებლებმა სთხოვეს აღარ ეთამაშა ეს როლი, ვაშუშო არ ვინდა იგივით... ამავ დღეობში მოამზადეს და მაყურებელს უჩვენეს შორავანდის „პატრიონებისათვის“. მარაგარბას დრამატინებით საყურად მარო მისი ანსაჩინებდა. თინაღური სცენაში მისი ტრაგიკული სიკვდილი ისე დიდ შთაბეჭდილებას ახდენდა მაყურებელზე, რომ დარაბაზში ჭიჭიინდარნი, ხოლო სპექტაკლის დამთავრების შემდეგ შრავანდის ობიექტდნენ სცენაზე.

კორინთიუსი პლატონ კრეჩეტში“ მარო ლიდის როლს თამაშობდა. აი ჩასწირს რეჟისონტი გაზეთის ფურცელზე: „მეტიმეტად მგრძობიანად მსახიობი მესხი ლიდის როლში, მისი გარდები და დღევანდელი მოქმედების მაყურებელზე“...

რეჟისორები ამჩნევდნენ მაროს ხალხისა და დღე სიყვარულს თეატრალური ხელოვნებისადმი. მისი გმირები არასოდეს არ გვადნენ ერთმანეთს. მსახიობის ხავერდებიანი ტემპის ხმაც ეს საჭიროებისამებრ იცვლებოდა. მრავალფეროვნება მარო მესხის სასცენო პალიტრა... იგი ხან დარბიისული დედოფალი, ხან მოსამსახურე, ხან შეყვარებული გოგონა, ხან დედა და ხანაც გულუხვი ქალი: მარიაში (გრეკულ ბაზივის „მურჯანი ალაპარაკებნი“), ელენე (ელენე სიკელის „ორი ჯიბიერი“), ცუხარი (ლიომა „მისი ცოლი“), ქუთუაში (სამონდობის) და მრავალი სხვა.

1938-39 წლების სეზონში ევლისციხის თეატრის კოლექტივმა განიზრახა ალ. ისტროვის „უღანაშაულნი დამნაშავენი“ დადგმა: კრეჩინის როლი მარო მესხმა მოაშადა. მსახიობის თბილმა და გრძობითი საყურად თამაშმა თავიდანვე მიმპირა მაყურებლის ყურადღება. თაყვანისმირებული გაგმობიერებული, ნიჭიერი, გამომჩინელი მსახიობი, შეურაცხყოფილი ქალი და სათიფ დედა, რომელიც ავიღოს ვერ პოულობს სულ-შეშოვად გარემოში — ასეთი იყო მარო მესხის კრეჩინა. მაროს შვილი უსიტყვო მოქმედობით ამტყვევებდა ყოველს. შესანიშნავი ფესტივალური იგი ისევე დაპარაკობდა, როგორც დიალოგით.

გაეისონთი თინაღური სცენა. ნუხიელ დღედეს საღვარტკლი სცემს, მესხი-კრეჩინა ამ დროს უსიტყვოდ თამაშობს, მისი მოქმედება მეტყველია, დამაჯერებელი. მაყურებელი მოუღის: კრეჩინისა სადაცა შეკვივლებს და გააფხვევდა შეიღს. ჩურჩულთი წამითიხა მხოლოდ ერთი სიტყვა „შვილი!“ — და ჩაიყვტა. დარაბაზში ქეითინი და ტრუსიქემა გაისმა... ეს იყო მსახიობის ირრეინალური ჩანაფიქრი.

1939 წელს „საბჭოთა ხელოვნება“ მარო მესხის მიღარი შემოქმედებანი აღნიშნავდა: „ოტრადინა-კრეჩინისას როლის მეტად მოხდენილად ასრულებს მსახიობმა მარო მესხი, ის პირველ მოქმედებაში წარმოადგივდება სიცოცხლითა და უმტრეტი ენერგიით საყურად, რომლის გული გასხივისნებულა სპექტაკი მომავალი; შემდეგ მოქმედებები ეხედათ ნამდვილ დედას, რომლის გულში დაკრძალა შვილის დაკრძავი, მაგრამ კრეჩინა როდი მიტყუდა სიწარყეითლებას, ის თავის ყოფილი საქმრის მიკვივდ სთხოვს პასუხს ვასეკი კითხვებზე: „რა იქნა მისი შვილი — გვიჩვენე“. და აი, 17 წლის შემდეგ მან იპოვა დაკრავული შვილი, მასში კიდევ უფრო ამიყვარდა დედობივი გრძობა. მისი ხმა მეტად ტკბილი და მიმზივდილია, მომარბა ზობიერი, დღევანდელი უხერხულბაას კი ვერ შეინწავთ

თამაშის დროს, რადგან მესხი საცენებს და ტანსაცემს საჭიროებდა მსახიობი ნებისა“...

ვადაჯერებულთა არ იქნება თუ ვიტყვი, რომ მარო მესხმა კრეჩინისას როლის შესრულებით დიდი წვლილი შეიტანა ქართული თეატრალური ხელოვნების ისტორიაში. იგი ვეუბროდა ქართული სცენის უნიჭიერეს ისტორიკს.

მარო მესხის არ მიეცა საშუალება ჩვენს დღეაქალქის სცენაზე ენახა დიდი მსახიობი, მიეღო მათგან დარბევბა, სამავგროდ, ის თავისივედ ბევრს მუშაობდა, კითხულობდა და ამ დანაშლის თითვე იყენებდა.

მ. მესხმა დღის ამბულდებელი სახე შექმნა ი. ველდვინშვილის „სინთაღუში“ (დადგმა ი. მტავაძისი). პროფ. კონ. ანდრონიკაშვილი ამის შესახებ ვაზუო „ოტრადინაგული და ხელოვნება“ წერდა: „მსახიობმა ქალბილმა უნდა აღიზნოს მარო მესხი, ის მსახიობმა ყურადღების ორისია არა მხოლოდ ბუნებრივი მოწყვეებით, არამედ ისტორიის გარკვეული ობიექტის: ეს ჩანს მისი მოთქმული სცენურ ქცევაში. ქცევა ეს დამაჯერებელი მსახიობის თამაშის ელემენტების დაუდგენაზე. „სინთაღუში“ მარო მესხი დღედვის როლს ასრულებს. იგი ძლიერად დადმოვეცემს შეიღის წარმოებულ გამოწვევებს დრამასა“.

ასეთივე გულწრფელობით და დამაჯერებლობით თამაშობს მსახიობი ლიტვისკისა და გერგელის „ჩემ შვილიში“. განსაკუთრებით თინაღური სცენაში მას კრეჩინის მწვერვალამდე აყვავს ოსტრადინის მწვერვალზე. მსახიობის ოსტრადინაზე მეტყველებს ის, რომ დღის როლებში იგი ყოველთვის სხვადასხვანაირია, ხაზს უსვამს გმირთა სახათიბის მრავალფეროვნებას.

მომდევნო სეზონში ევლისციხის სახელმწიფო თეატრმა დასადგმოდ აღიჩინა ე. შილერის „ვერკერი და სიყვარული“. ლეონა მიღერის მარო მესხი თამაშობდა. მსახიობის ლეონამდე შექმნილი ჰქონდა არაერთი შეყვარებული ქალის სურს. მაგალითად, სიღუპე „გამეტკორში“, ლდა „პლტონი კრეჩეტში“, ტურფი „პატარა კახში“... ლიდის როლში დიდი პასუხისმგებლობის წინაშე დაყენა მსახიობი. წოდებულნი მღობიარებია, რომელიც ჩინური კვლადიით იყო ამბობული ლეონასა და თერინანდის როლის, ავალბდა მას — ფერ-შეკრებულთ ყოფილიყო ფიდილოდო აისტიტორების წინაშე. მაროს მიერ უსახიბრებულ ლეონა წმინდა, უმბეკო, უნაზივარი შეყვარებულა. ამასთან, იგი უძლიერა პრეტიციტი ვაფხცხვის ფიდილოდო სამყაროს, ამყარება დამოკიდებამ კლასის წინააღმდეგ საბრძოლველად. მაგრამ წმინდა, რომ ფიდილოდობის დამბობა გარდუილია — აი, ასეთად წარმოვედგინა მარო მესხმა ლეონას სახე.

მარო მესხის მიერ შექმნილი დრამატული სახეებიდან გამოირჩევა ქრისტინე პ. ბრევილის „ქრისტინეს“. მსახიობმა უნაყოფოდ ვახსა ქრისტინეს ხასიათი, მიყოფილ დაავადება კამბალტიკური სასოვადობის წინააღმდეგ ვაბრძოლებდა, რომლის მსხვერპლი შეიქმნა მისი

ი. გედევანიშვილის „სინათლე“. მარი მეხსი დედოფლის როლში.



საყვარელი გმირი. განსაკუთრებით ძლიერი იყო იგი ფინალურ სცენაში. მთელი დარბაზი ქვითინებდა. სპექტაკლს ესწრებოდა მაშინდელი ხელოვნების საყვეთთა სამართავლოს თეატრალური განყოფილების უფროსი შალვა კილა-სონიძე, რომელმაც მარი მეხსს შემდეგი სიტყვებით მიმართა: „ამბობდნენ, რომ მარი მეხსი დარბაზს ნიჭიერი მსახიობიაო; დღევანდელმა თქვენმა თამაშმა მოლოდინი გააძარტოლა. თქვენმა თამაშმა ამატრია, ეს მეორე შემთხვევაა, რომ დარბაზში ვიტრიე, ეს შედეგია თქვენი კარგი თამაშის. თქვენ ძალიან მგონიზობიარე და თბილი მსახიობი ყოფილხართ, — შემდეგ დირექტორს მიმართა: — ამ მსახიობს გაუფრთხილდით, თორემ წყაგართმევთ“...

მსახიობისათვის მწელია სცენაზე სიზმრის გადმოკემა... შირიანზადეს „ნამუსში“ სოსანას როლის შესრულების დროს სიზმარს ისე ყვებოდა მარო-სუსანა, რომ მაყურებელს ავიწყდებოდა სცენა და რეალურ, ცხოვრებისეულ ატმოსფეროში გადადიოდა. მაყურებელი მსახიობის ცხოვრებით სუნთქავდა...

სამამულო ომის წლებში მარი მეხსი

მარტო თეატრით როდი იყო დაკავებული. იგი მხარში ამოუღდა მილიონობით საბჭოთა ადამიანს. მინდრად, ვენახში, კალოზე, ფერმაში, ჰოსპიტლებში და სად არ ნახავდით მას.

დასამახსოვრებელი და განუმეორებელი სახეები შექმნა მსახიობმა: ქეთევანი („საქობლო“), რუქია („ალაქტი“), კაწა („კომპლე“), პირამიდა პლატონოვნა („ქეთილი მეზობლები“), კატინა („რაც გინახავს, ვეღარ ნახავ“), ფატი („ნაპერწყლიდან“). მინა შეეჩერდემ უკანასკნელ როლზე.

სპექტაკლის პრემიერას თელავის თეატრში ესწრებოდა პიეტის ავტორი შ. დადიანი. მხოვან დრამატურგს ძალიან მიუყრნა სპექტაკლი, მარის ათრთოლებული ხელის მოხეია და ღიმილით უთხრა: ალტაცებული ვარ თქვენი, ნამდვილი ჩემი ფატი ხართ. სწორედ ისეთი, როგორიც მე მაქვს ვაპირებულ ი ჩემს პიესაში. ძლიერ გაცვირებული ვარ. რომ თანამედროვე ქალმა ასე მოიფინელი მანერების გამოყენებით, ლორწების ასე მშვენიერი ხმარებით, ნამდვილი, ძველი განვითარებული არისტოკრატული ქალის ტიპი წარმოგიდგინეთ“...

...ხოლო, პირად წერილში შ. დადიანი წერდა შახიობს: „თქვენი სამსახიობო ნიჭი უთულოდ საჭიროა ქართული თეატრისათვის... საჭიროა, რომელმე შევსახიონო თეატრში მოეწყვიტო“.

მარი მეხსს ქებისაგან თავებულ არ დახვევია. მან როდი არჩია დედაქალაქის გაჩირადლებული დარბაზები, იგი თავისი მშობლიური კუთხის თეატრში დარჩა და შეშმარტი ხელოვნებით ალფრთოვანებდა მაყურებელს. ამ სცენაზე განახორციელა მარომ 200-ზე მეტი როლი.

აქვე დავმენთ, რომ მარი მეხსი ცეკვა „ქართლის“ უბაღლო შემსრულებელია, რისთვისაც თავის პარტნიორ სანტოლო ციციშვილთან ერთად ხუთჯერ მიუღია ჯილღო სარაიონო შეჯიბრებებზე.

რესპუბლიკის დამსახურებულ არტისტს მარი მეხსს შეუსრულდა დაბადებულად 60 და სცენაზე მიღწაწეობის 40 წელი ველისცნის აღმასკომის კულტურის განყოფილებაში, თეატრალურ საზოგადოებასთან და ხალხური შემოქმედების სახლთან ერთად ზეიმით აღნიშნა ეს თარიღი.



ანდრია ბენაშვილი

გაგორენილი ასტრონომი, ლიტერატორი

ბენამინ ტრონიძე

სამამულე მცენიერებისა და ტექნიკის განვითარებაში თვალსა-
ჩინო კვალი გააგდო ლეაწმისილმა ქართველმა მეცნიერმა, გეო-
დუზიისა და ასტრონომიული საქმის ერთ-ერთმა ფუძემდებელმა
რუსეთსა და საქართველოში, პროფესორმა ანდრია მიხეილის ძე
ბენაშვილმა.

ანდრია ბენაშვილი დაიბადა 1868 წლის 4 აპრილს სოფელ ყვა-
რელში. მამამისი, მიხეილ ანდრიას ძე ბენაშვილი, იმ დროისათვის
მეტად განათლებული სამხედრო მოხელე იყო, მუშაობდა საქართველოს
სამხედრო რაზმში ოფიცრად. რუსეთ-თურქეთის ომის დამ-
თავრების შემდეგ (რომელშიც იგი მონაწილეობდა), 1878 წელს
თავისი ვაჟიშვილი თბილისის კადეტთა კორპუსის სამხედრო სას-
წავლებელში შეიყვანა. ანდრია მასწავლებელი პირველი ხარისხის
დიპლომით დაამთავრა და 1885 წელს გაემგზავრა მისკოეში ორ-
წლიან სამხედრო-სამწიკრო სასწავლებელში შესავლელად. ეს
სასწავლებელი მან პირველი ხარისხის დიპლომით დაამთავრა 1887
წელს და იუნკერის წოდება მიიღო. ამავე წელს იგი სამშობლოში
ჩამოიდა და მუშაობას იწყებს მე-16 გრენადერთა სამეგრელოს
ცნობილ ლეგიონში ოფიცრად, პოდიპოლკოვნიკის წოდებით.

ანდრიას პეტერბურგის გენერალური შტაბის აკადემიისაკენ მი-
უწევს გული და აი 1896 წელს უსრულდება წადილი — მისიხელი
გამოცდების ჩაბარების შემდეგ ეწყობა აკადემიის გეოდეზიის გან-
ყოფილებაზე. აქ იგი მალე იმსახურებს ყურადღებას, როგორც ნი-
ჭიერი და უნარიანი ახალგაზრდა და შტაბსაკაპიტნის წოდებას ანი-
ჭებენ.

1899 წელს მან პირველი ხარისხის დიპლომით დაამთავრა
აკადემია და სპეციალური ბრძანებით ორი წლით მივლინებულ იქნა

პულკოვოს ომენფაგატორიაში ასტრონომიის კურსის გასავლელად
1900 წ. პეტერბურგის გენერალური შტაბის აკადემიაში იგი წარმა-
ტებით იცავს დისერტაციას თემაზე: „Определение широты
по соответствующим высотам двух звезд и по измерении
зенитных расстояний двух звезд“. ეს შრომა, აკადემიის საბ-
ჭოს დადგინებით, გენერალური შტაბის მოავარი სამმართვე-
ლოს სამხედრო ტოპოგრაფიული განყოფილების კრებულში დაი-
ბეჭდა.

1901 წელს ა. ბენაშვილს, როგორც სახელმწიფოელ სპეციალის-
ტსა და მეცნიერს გეოდეზიისა და ასტრონომიის დარგში, რუსეთის
გენერალურ შტაბში სამხედრო ტოპოგრაფთა კორპუსის ოფიცერთა
შემადგენლობაში იწვევენ. ამავე წელს გენერალური შტაბის საგან-
გებო ბრძანებით იგი ინიშნება პეტერბურგის ტრიანგულაციის სამ-
მართველოში ჯერ უფროსის თანამეწეოდ, შემდეგ სამმართველოს
უფროსად; აქ იგი 1916 წლამდე მუშაობს.

1902 წლის 16 ოქტომბერს რუსეთის სამხედრო მინისტრის გან-
კარგულებით ა. ბენაშვილი მიწვეულ იქნა პეტერბურგის ტექნოლო-
გიურ ინსტიტუტში ჯერ გეოდეზიის საგნის ხელმძღვანელად, ხოლო
შემდეგ კათედრის გამგედ.

1904 წელს ა. ბენაშვილს პოდიპოლკოვნიკის წოდება მიანიჭეს.
1905-დან 1918 წლამდე იგი სპეციალური მიწვევით მუშაობს
სამხედრო-საინჟინრო აკადემიაში გეოდეზიის კათედრის გამგედ
ამავე პერიოდში კითხულობს ტექნიკისა და სამხედრო ტოპოგრაფიის
კურსს პეტერბურგის სამხედრო საინჟინრო სასწავლებელში.

1906 წელს ა. ბენაშვილი მივლინებულ იქნა მანჯურიაში სამ-
ხედრო-ტოპოგრაფიულ გადაღებათა და ასტრონომიულ სამუშაოთა
ხელმძღვანელად (მისი სამუშაო ობიექტებია: ტერიტორია საღაურ
მანჯურიიდან რუსეთის იმპერიის უახლოეს საზღვრამდე და საღაურ

ცივისკარიდან პეტერბურგამდე). ამ სამუშაოებთან დაკავშირებით ა. ბენაშვილი აქვეყნებს სრულად ორიგინალურ სამეცნიერო შრომებს: „Измерение базиса по проволоке при помощи деревянных жезлов в применении к триацкарскому базису (сев. Маньчжурия)“ и „Определение географического положения пунктов в Сев. Маньчжурии из хронометрических районов в 1906 году“. ამ შრომებმა მას დიდი აღიარება მოუტანა. 1908 წელს განსაკუთრებული წარჩინებისათვის პოლოვნიის წოდება მიანიჭეს.

ა. ბენაშვილი რამდენჯერმე იმყოფებოდა მივლინებით უსხო-ვიში გეოდეზიისა და ასტრონომიული მცენებრების თორისისა და პრაგის გასაცნობად. 1907-1909 წლებში იგი სპეციალური ბრძანებით მივლინებული იქნა გერმანიასა და საფრანგეთში, ხოლო 1910-1912 წლებში — ბელგიაში, ინგლისში, ავსტრალიასა და შვეიცარიაში.

უცხოეთიდან დაბრუნების შემდეგ ა. ბენაშვილი კვლავ აქვეყნებს თეორიული ხასიათის შრომებს: „Подбор пар к вивозмененному способу определения Талькопина“, „Телеграфное определение разности долгот Петроград-Галсань и определение широты Галсани“ и „Применение сферической тригонометрии к решению сложных вопросов геометрии“.

1910 წელს გენერალური შტაბის ნებართვით პოლოვნიკი ა. ბენაშვილი აზიუბუტებისა და ვანდის განსაზღვრისათვის გაიგზავნა ჯერ ფინეთში (ასტრონომიულ სამუშაოს ხელმძღვანელად), ხოლო შემდეგ მინსკისა და კიევის გუბერნიებში. სამხედრო ტოპოგრაფთა კორპუსის სპეციალური ბრძანებით 1913 წელს დაველა დასავლეთის სასაზღვრო სივრცის ტრიანგულაციის სამუშაოს ხელმძღვანელად. 1915 წელს ა. ბენაშვილი აქტიურ მონაწილეობას ღებულობს ვესტრალ-უნგრეთისა და გერმანიის წინააღმდეგ საომარ მოქმედებაში.

1916 წლიდან, მსოფლიო ომთან დაკავშირებით, უმაღლესი მთავარსარდლობის ბრძანებით, ა. ბენაშვილი სამხრეთ-დასავლეთ ფრონტის მიწვევდ არმიებშია. 1917 წ. ფრონტებზე სამხედრო ოპერაციათა მაღალ დონეზე ჩატარებისათვის მას გენერალ-მაიორის კოდების ანიჭებენ.

რუსეთში თითქმის 33 წლის მანძილზე, სამეცნიერო, პედაგოგიური და სამხედრო მიღწევებისათვის, ბძობლებში განსაკუთრებული დამსახურებისათვის ა. ბენაშვილი გენერალური შტაბისა და უმაღლესი მთავარსარდლობის მიერ სხვადასხვა დროს რამდენჯერმე იყო დაჯილდოებული ორდენებითა და მედლებით. მას მიღებული ჰქონდა: სტანისლავის მე-2 და მე-3 ხარისხის, ანას მე-2 და მე-3 ხარისხის, ლადიმერის მე-3 და მე-4 ხარისხის ორდენები და მრავალი მედალი.

1918 წელს ა. ბენაშვილს უმაღლესი მთავარსარდლობის ბრძანებით გენერალ-ლეიტენანტის წოდებას ანიჭებენ.

რუსეთში მოღვაწეობის დროს ა. ბენაშვილს გამოქვეყნებული აქვს უნიკალური მნიშვნელობის შრომები გეოდეზიისა და ასტრონომიული მცენებრების დარგში, ამ გამოკვლევებს დღესაც არ დაუკარგავთ მცენიერული ღირებულება.

1918 წელს მთავარსარდლობის ბრძანებით ა. ბენაშვილს საქართველოში გაზიარება და ნიშნავენ ამიერკავკასიის ჯარების ზურგის მომარაგების უფროსად.

პროფ. ა. ბენაშვილის სამშობლოში დაბრუნება ემთხვევა ქართველი ხალხის დიდ ეროვნულ დღესასწაულს — თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჩამოყალიბებას. როგორც გამოჩენილი მეცნიერი-ასტრონომი-გეოდეზისტი, ჩვენს ქვეყნის დიდი პატრიოტი და საზოგადო მოღვაწე, იგი სთავაზენი ჩაუვდა ამ საუკილო-შვილ საქმეს. ა. ბენაშვილი შევიდა სახელმწიფო უნივერსიტეტის პირველ პროფესორთა შემადგენლობაში, რომელთა შორის იყვნენ ცნობილი ქართველი მეცნიერები — ი. ჯავახიშვილი, პ. მელიქიძე-ლი, გ. ახვლედიანი, ფ. გოგიანიშვილი, გ. კეკელიძე, შ. ნუნუშიძე,

ა. რაზმაძე, დ. უზნაძე, ი. ყიფშიძე, ა. შანიძე, ს. ავალიანი, ი. აბულაძე და ვ. თაყაიშვილი.

სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორთა საბჭოს დადგინებით ა. ბენაშვილი არჩულ იქნა ასტრონომიისა და გეოდეზიის კათედრის გამგედ.


1920 წლის 1 იანვარს პროფ. ა. შანიძის წარდგინით, უნივერსიტეტის პროფესორთა საბჭომ ა. ბენაშვილი მთავარკატეგორიის მფლობელად დეკანად დაატყვია.

სახელმწიფო უნივერსიტეტში სამეცნიერო-პედაგოგიურ მოღვაწეობასთან ერთად, პროფ. ა. ბენაშვილი 1918-დან 1922 წლამდე ხელმძღვანელობდა კავკასიის სამხედრო შტაბის ტოპოგრაფიულ განყოფილებას, ხოლო 1919 წლიდან 1923 წლამდე თბილისის ფიზიკური ოსერვატორიის დირექტორია.

პროფ. ა. ბენაშვილი დიდ მუშაობას ეწეოდა სახელმწიფო უნივერსიტეტში პოლიტექნიკური ფაკულტეტის ჩამოყალიბებისათვის. გამოჩენილ მცენებრთან — ა. რაზმაძესთან, გ. ნიკოლაძესთან, ნ. მუსხელიშვილთან, ა. ხარაძესთან, გ. წულუკიძესთან, ა. დიდებულძისთან, ი. თულაშვილთან, რ. ნიკოლაძესთან, ა. გულისაშვილთან, ვ. კაკაბაძესთან და სხვებთან ერთად მან საფუძველი ჩაუყარა უმაღლესი ტექნიკური განათლების საქმეს საქართველოში. იგი ხელმძღვანელობდა ასტრონომიისა და გეოდეზიის კათედრას უნივერსიტეტსა და საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში. პროფ. ა. ბენაშვილი სხვადასხვა პერიოდში სამეცნიერო-პედაგოგიურ მუშაობას ეწევა აგრეთვე საქართველოს საინჟინრო-სამშენებლო ინსტიტუტში, ამიერკავკასიის საინჟინრო-მულითარაციის ინსტიტუტში, ამიერკავკასიის გზათა მიმოსვლის რეინიგის ინსტიტუტში, საქართველოს სამიო-მეტალოგურული ინსტიტუტში, საქართველოს ინდუსტრიულ და ქუთაისის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტებსა და სოხუმის პედაგოგიურ ინსტიტუტში.

ალ. სარაჯიშვილი.

შოთა რუსთაველი





პროფ. ა. ბენაშვილის შრომების დიდი როლი შეასრულეს ასტრონომიისა და გეოდეზიის მეცნიერების ჩამოყალიბების საქმეში. დიდაა პროფ. ა. ბენაშვილის დამსახურება მშობლიურ ენაზე სა-მეცნიერო-სასწავლო ლიტერატურის შექმნის საქმეშიც. მან პირველმა ქართულ ენაზე გამოსცა სერული ასტრონომიის, სერული ტრიგონომეტრიის, უმაღლესი გეოდეზიის, ცდომილებათა თეორიის და ტოპოგრაფიის რამდენიმე სახელმძღვანელო.

შრომში „ცდომილებათა თეორია“ პირველად მოცემულია მსოფლიო ლიტერატურაში გეოდეზიურ განაზომთა მათემატიკური დამუშავების მეთოდები. მასში ორიგინალურად არის გამოქვეყნული ალბათობის თეორიის საფუძვლები, ცდომილებათა თეორიის გამოყენება ტოპოგრაფიულ პრაქტიკაში, დასკვნის სიზუსტისა და უცვირეს კვადრატთა წესის საკითხები.

პროფ. ა. ბენაშვილმა დიდი ღვაწლი დასდო რუსეთსა და სა-ქართველოში სამხედრო და საინჟინრო კადრების მთელ თაობათა აღზრდის საქმეს.

პროფ. ა. ბენაშვილის შრომების მეცნიერული ანალიზი გეოდეზიის დარგში პირველად მოგვცა მისმა მოწაფემ, საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის გეოდეზიისა და მარაგდენიის კათედრის გამგე პროფ. ნ. თევსაძემ. აღნიშნული კათედრა წარმატებით აგრძელებს ამ კათედრის ფუძემდებლის, ა. ბენაშვილის სამეცნიერო-პედაგოგიურ ტრადიციებს. კათედრის მიერ ახლად იქნა გამოცემული მისი ცნობილი მონოგრაფია „ცდომილებათა თეორია“ პროფ. ნ. თევსაძის რედაქტორობით.

აღსანიშნავია, რომ პროფ. ა. ბენაშვილი ახალგაზრდობის წლებში საშწერო-სალიტერატურო და სასოციალურებრივ მოღვაწეობასაც ეწეოდა ჯერ თბილისში, კადეტთა კორპუსში სწავლის პერიოდში და შემდეგ პეტერბურგში ყოფნის დროს.

ა. ბენაშვილი გასული საუკუნის 90-ანი წლების ქართულ პერიოდულ პრესაში სისტემატურად აქვეყნებდა ლიტერატურულ ნაწარმოებებს: დრამებს, ეტიუდებს და კომედიებს (აქვეყნებების მოი-

რებიდან: „დროთა ბრუნვა“, „დასურვლებელი ამახვი ანუ თელაველი ოტლო“, „გვიან“, „ჰანაღები“ და სხვ.). მათ შესახებ რეცენზიები იბეჭდებოდა მაშინდელ პერიოდულ პრესაში: გაზეთ „ივერიაში“, „კავალიში“, რომლებიც ამ ნაწარმოებებს მაღალ შეფასებას აძლევდნენ. დრამა 29 სექტემბრის ნომერში გაზეთი „ივერია“ აღნიშნავდა: „ივერიაში“ ფურცლებზე ცალკეული თავების მიხედვით, 1890 წლის აპრილის 25 რიცხვიდან მიყოლებული ამავე წლის 23 მაისამდე. 1892 წლის 29 სექტემბრის ნომერში გაზეთი „ივერია“ აღნიშნავდა: „ივერიაში 27 სექტემბრის ქართულმა დრამატულმა დასმა პირველად წარმოიდგინა გამართა. წარმოადგინეს ა. ბენაშვილის პიესა „თელაველი ოტლო“ და ვ. გუბასა უფლები „ხოლორბათა“. პირ-მოიდგინეს, როგორც მოსალოდნელი იყო, ხალხი კარგად ბლომად დასწავრა“.

„თელაველი ოტლოს“ შესახებ რეცენზია გამოაქვეყნა ქართული დრამატული საზოგადოების წევრმა პეტრე ყიფინიამ: „...ატორის ცხარედ გტყობა უნარი დაკვირვებისა, ჩვენი ცხოვრებისა და სცენის ცოდნა. კაცის გულში საკამოდ ღრმად იხედება და კითხულობს მის პასუხს. პირველი ნიშნები ახალგაზრდა მწერლის შემოქმედების სრულ იმებს ვგავლობ, რომ შეუძნის უფრო უკეთეს ნიმუშებს. — აღნიშნავს იგი. ბოლოს წერილის ავტორი ეტება მიქმედ პირთა გან-სახიერებას.“

გაზეთ „ივერიაში“ ფურცლებზე 1890 წლის აგვისტოსა და სექტემბრის თვის ნომერებში იბეჭდებოდა დრამა „დროთა ბრუნვა“ (მის მიქმედება) და 1891 წლის სექტემბრისა და ოქტომბრის გაზეთებში კომედია ოთხ მიქმედებად. აქვეყნებების მოიშრობით.


1892 წლის 5 სექტემბრის ნომერში გაზეთი „ივერია“ წერდა: „ქართული დრამატული დასი ამ სუზინისა, როგორც შეივცდეთ, უკვე სრულებით მზად არის. მომეტებული ნაწილი მითამაშეთა ხელწერილობით შევრენ კიდევ თატარის გამგებებს. იმ არტისტების ცოდნა, რომელთაც იყნობს თატარის მოყვარე საზოგადოება, მიწვეული არიან ახალგაზრდა არტისტი ქალბერი და კაცები, რეპეტიციების გამართვას დასი შეუდგას ამ თვის 10-ს, ხოლო წარმოდგენა იქნება 20 სექტემბრის, კვირას.“

თატარის ადმინისტრაციას განუზრახავს პირველად წარმოადგინოს პიესა ახალგაზრდა მწერლის ბ-ნ. ა. ბენაშვილისა „თელაველი ოტლო“, რომელიც დაბეჭდილი იყო ჩვენს გაზეთში. იმედოვნდა ვიქონიით როგორც თატარის გამგებთაგან, აგრეთვე ქართულ საზოგადოებისაგან, რომ ერთმანეთს მხარს მისცემენ ამ ყოვლად სასარგებლო საქმეში საქმის გასაძლიერებას და წარადგენან.“

სამეცნიერო-პედაგოგიურ და სამხედრო მოღვაწეობასთან ერთად ა. ბენაშვილი პეტერბურგში თვალმანიო სასოციალდობრ-სალიტერატურო მუშაობასაც ეწეოდა. მისი რედაქტორობით აქ ქართულ ენაზე გამოდიოდა ყოველთვიური ხელნაწერი სალიტერატურო კურნალი „შრომა“, რომელიც მონაწილეობდა პეტერბურგის მოწინავე ქართველი ახალგაზრდობა. ჟურნალი ფართო ადგილი ჰქონდა დადამიბილი ქართველ მოღვაწეთა ცხოვრებასა და შემოქმედებას, საქართველოს ცხოვრების ამბებს... იგი მიზნად ისახავდა აგრეთვე პეტერბურგში მცხოვრები ქართველი ახალგაზრდობის მიერ შიშობილიური ვნის შენარჩუნების საკითხს.

გამოჩენილი მეცნიერის ა. ბენაშვილის პირად არქივში აღმოჩენილი იქნა ჟურნალ „შრომა“ მთლიანი კომპლექტი. ჟურნალია ერთ-ერთი ნომერი მიძღვნილია გენიალური შოთა რუსთაველის პიემისადმი. აქვე მიკვლეული იქნა შოთა რუსთაველის პორტრეტი, აჭვარელი დეწერილი ვეფხვის ტაყავი. იგი შესრულებულია 1891 წელს, იმ დროს პეტერბურგში მცხოვრები ცნობილი ისტორიოგრაფისა და საზოგადო მოღვაწის ალექსანდრე ივანეს ძე სარაჯიშვილის მიერ. არქივში დატყლია აგრეთვე ა. ბენაშვილის ნაწარმოებთა ხელნაწერები.

მიკვლეულ მასალათა შორის საგულისხმოა აგრეთვე პროფ. ა. ბენაშვილის მიერ შესრულებული საქართველოს რუკა. ა. ბენაშვილი გარდაიცვალა 1941 წლის 28 ივნისს ქ. სოხუმიში, 73 წლის ასაკში. დაკრძალულია თბილისში, ვაკის პანთეონში.



ზოგი რაე მუსიკალური თეატრზე

მიხეილ ბორჩაძე

მუსიკალური თეატრში დირიჟორისა და შემსრულებლის შემოქმედებითი თანამშრომლობა უმნიშვნელოა საკითხის წარმოადგენს. მუსიკალური ნაწარმოების შინაარსის გახსნისას მიმდრალი ძირითადად საკუთარი თვითშეგრძნებით ხელმძღვანელობს. ხშირია შემთხვევები, როდესაც შემსრულებელი ავლენს კარგ ვოკალურ მოსაწყობებს, აღწევს გამომსახველ ძვერებას, მომზიდვად ვეფქტს. მაგრამ ამავე დროს აღინიშნება მსატერული სახის მცდარი გააზრება, გაუმართლებელი ინტერპრეტაცია.

ზოგჯერ შემოქმედებით პრაცესში მიმდრალი ქვეცნობიერად ავლენს სუბიექტურ ინტერესებს — ეთიშება საერთო ანსამბლს, ზრუნავს მხოლოდ მისთვის ხელსაყრელი სცენური პირობების შექმნაზე, არღვევს სპექტაკლში დადგენილ მიზანსცენებს, ავანსცენაზე გამოქრება და მსყურებლის ყურადღების ცენტრში აღმოჩნდება. ასეთ მომდრალს უშთავრეს ამოცანად ვოკალური ტექნიკის დემონსტრირება, მაღალი ნოტების ვეფქტური აქრება მიაჩნია. ბუნებრივია, რომ მუსიკალური თეატრის მსახიობთა ასეთი თვითნებობა გაკიცხვას იმსახურებს. მომდრალთა საშემსრულებელ არსენალის მართებული რვეულირება დირიჟორის შემოქმედებით ფუნქციონი შედის. სწორედ დირიჟორს ევალება მუსიკალური ნაწარმოების სწორი ინტერპრეტაციის დაცვა, მან უნდა იბრძოდოს შემსრულებელთა თვითნებობის წინააღმდეგ.

ერთხანს დირიჟორის მოვალეობა მხოლოდ სპექტაკლის დირიჟორობით, ორგესტრთან რეპეტაციებით იფარგლებოდა. მიმდრალთა გაკვეთილები, რეპეტაციები კი მის კონპეტენციამი არ შედიოდა. ასეთ იყო წარსულში, როდესაც თეატრში მოწვეულ მიმდრალს დამოუკიდებლად ჰქონდა შესწავლილი მიმდინარე სუნიის მთელი რეპერტუარი. ეს გრველდებოდა გუნდისა და ორკესტრის მსახიობებზე დაყ. იმ დროს თეატრის ხელმძღვანელები ამგვარი წესით რეპერტუარის განახლებასა და პრემიერების ხშირ გამოშვებას ახერხებდნენ. ცხადია, ამგვარი პრაქტიკა ხორციელდებოდა სპექტაკლების დაბალი მსატერული დონის ხარჯზე. ახალი სპექტაკლებისათვის განკუთვნილი იყო მხოლოდ ერთი ან ორი საერთო რეპეტაცია. რაიმე საინტერესო და ახალი მუსიკალურ-სცენური ინტერპრეტაციის შექმნაზე არავინ ფიქრობდა. შემსრულებლები დირიჟორის პირველად საერთო რეპეტაციაზე ხვდებოდნენ. თავად დირიჟორი მხოლოდ მაშინ, სახედავსელოდ, ეცნობოდა რევისორულ ჩანაფიქრს. მთელ რეპეტაციას ანდომებდა კომპოზიტორის რემარკების ზერეველ დაყვას, ტემპებისა და ნიუანსების მოწესრიგებას.

ბუნებრივია, რომ ამგვარ პირობებში არ ხერხდებოდა რევისორისა და დირიჟორის შემოქმედებითი ძიებების განვითარება. მსახიობებს სცენაზე მხოლოდ ადგილებს მიუთითებდნენ, არწვენდნენ გასვლა-გამოსვლის მიმართულებას, მოხაზავდნენ ძალზე მარტივ მიხანსცენებს და ამათ იფარგლებოდა სპექტაკლის დამდგმელთა ფუნქციები.

ამგვარი სისტემა გასული საუკუნის მეორე ნახევრიდან იყო შემოღებული. მაშინ მეფის რუსეთის ქალაქებში იტალიური ოპერის დასები მოღვაწეობდნენ. ჩამოსვლი მსახიობები არ ზრუნავდნენ სპექტაკლის იდეურ-მსატერულ შინაარსზე. ისინი უშთავრესად ვირტუოზული ვოკალური ტექნიკის ჩვენებით იყვნენ გატაცებული. მათი ყურადღების ცენტრში ფორტიტურები, მელოზმები და ფერმატობა იღდა.

ცნობილი საოპერო მომდრალი ს. ი. ლვევი თავის წიგნში „საოპერო მომდრალის ჩანაწერები“¹ აღნიშნავდა: „მათთვის ძლიერი ხმების დემონსტრირება იყო სამომდრალ ცხოვრების ძირითადი არსი. ამ ადამიანების შემოქმედება მიმართული იყო მხოლოდ საკუთარი ხმების ხელსაყრელი ჩვენებისაკენ, ისინი სახის მსატერულ მთლიანობაზე არ ფიქრობდნენ... ღრმა სუნიების ჩვენება, ბერის უკადრების გაფართობა და გაქანება ისე, რომ მსმენელს ბუსუსები აყრიდა... „ლაბიათი“ მთართვედნენ ხლმე მსმენელს თვითველ გრუბტებს. ყველა ზენატელო და ბერნანდი (იტალიური მომდრალები) მხოლოდ ამის ოსტატები იყვნენ, ყოველივე ამას ისინი აკეთებდნენ როლის მუსიკალურ-დრამატურგული მასალისაგან დამოუკიდებლად, ყოველგვარი სცენური ლოგიკის საპირსპიროდ.“

რა თქმა უნდა, აღნიშნული ციკატა არ ეტება იტალიური ვოკალური სკოლის ბრყვენაზე წარმომადგენლებს: ბატისტინის, ანსელმის, ტიტი რუფოს, ადლ ბორგის, მარია გაიას და სხვ. ისინი ქვემარტივ მსატერები იყვნენ და მთელი თავისი შემოქმედებით ემსახურებოდნენ მუსიკალურ-სცენური სახეების რეალისტურ წარმოსახვას, ავლენდნენ გარდასახვის გასაოცარ ნიჭს, იშვიათ ზომიერებას. სწორუპივარი იყო მათი სამომდრალ ოსტატობა, დაფუძნობილი იტალიური ვოკალური სკოლის საკუთესო ტრადიციებზე მაგრამ ეს მომდრალები ერთეულები იყვნენ და დამეტრულიად განსხვავდებოდნენ იმ „მოხეტიალ“ მსახიობებისაგან, რომელთა იმპორტი დიდი რაოდენობით გვლინებოდა რუსეთის თეატრებს.

¹ С. Ю. Левик — «Записки оперного певца» гл. 138.



იმდროინდელი ანტრეპრენიორების, თეატრის დირექტორების მიზანი არ იყო საპიერო თეატრში შემოქმედებითი მუშაობის გაუმჯობესება და განვითარება. ისინი მხოლოდ საპიერო თეატრის არსებობის ფაქტით ამყობდნენ და საკუთარ შემოსავალზე ფიქრობდნენ. დადგმებზე გაღებული მცირე ხარჯები, მსახიობთა კომერციული ექსპლუატაცია, დროებითი მოწყვეტი (ანგაჟემენტები) და გასატრლიორები — ასეთი იყო ამ სისტემის ძირითადი არსი. ასეთი პირობები დირიჟორის, რეჟისორისა და სამხსრულებლო კოლექტივის შემოქმედებითი ურთიერთობის საკითხში შემხსვევით ან ძალზე ფორმალურ ხასიათს ატარებდნენ.

სხვაგვარი ვითარება იყო რუსულ მუსიკალურ თეატრებში. ცნობილი მეტყვანობა — მამონტოვის, ზიმინის ანტრეპრიზები და კერძო თეატრები დიდ ყურადღებას უთმობდნენ ნაწარმოებთა მხატვრულ თვარებს. რეპერტუარიც მრავალფეროვანი იყო. იდგმებში რუსული და დასავლელი ვერობის გამოჩენილი კომპოზიტორების მაღალ-მხატვრული საპიერო ნაწარმოებები. იმ საბჭოთა რუსების საპიერო თეატრების სცენებზე მოღვაწეობდნენ საპიერო ხელოვნების კარი-ფეხები: შალაიანი, ტარტაკოვი, სობინოვი, ერმოვი, ნეჟდანოვა, დიენერი, ზბრუვა, ჩერკასკია, დირიჟორები — ნარბაჟნიკი, ბლი-ნიშველი, მაკო, კოუტჩი, სუვი, ივ. ფალიაშვილი და სხვ. მათ დიდი წვლილი შეიტანეს რუსული რეალისტური მუსიკალური თეატრის განვითარებაში. სწორედ ამ ხელოვანთა მოღვაწეობაში დამყარდა შემოქმედებითი კავშირი დირიჟორის, რეჟისორისა და მთელ სამხსრულებლო კოლექტივის შორის. იმისა და სცენური და მუსიკალური ხელოვნების ორგანული დაკავშირება.

განსაკუთრებულ აღმავლობას მიაღწია საპიერო ხელოვნებამ ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ. ძირფესვიანად შეიცვალა მუსიკალური თეატრების შემოქმედებითი სისტემა. საბჭოთა საპიერო თეატრის საფუძველი მალევე პროფესიონალიზმი გახდა.

